45 / 986 / 4
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509
6
1986



ნადია კატრენკო — საბავშვო ბაღი.


„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1 ივნისი — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე!





18537

**ნათელა ვასაძე,**
**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.**

ბევრი ლამაზი სადღესასწაულო თარიღი ამშვენებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კალენდარს, მაგრამ მათ შორის ერთს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, განსაკუთრებული ელფერი და მნიშვნელობა ახლავს თან. იგი ერთნაირად მახლობელია ჩვენი პლანეტის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ერისათვის, საერთოა მშვიდობისმოყვარე ხალხებისათვის. გამორჩეული სიყვარულითა და ამაღლებული განწყობით აღნიშნავს მას საბჭოთა ხალხი, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქე.

საბჭოთა ადამიანებს შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ბავშვის ჰარმონიული განვითარებისათვის ყველა პირობაა შექმნილი.

გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაცია, მისი მაღალი პრინციპები, სწორედ საბჭოთა ქვეყანაში იქცა სინამდვილედ და ამას აღიარებს მსოფლიო. მსოფლიო ქალთა ფედერაციის საბჭოს განცხადებაში, რომელიც ბავშვის საერთაშორისო წელს მიეძღვნა, ნათქვამია: მსოფლიოში ბავშვების ცხოვრება უფრო ბედნიერი იქნებოდა, ყველა ქვეყნის მთავრობა და საზოგადოებრიობა ბავშვებს ისეთივე ზრუნვით რომ ეკიდებოდნენ, როგორც მათ სოციალისტურ ქვეყნებში ეპყრობიან.

ესოდენ მაღალი შეფასება რეალურ საფუძველზეა აგებული. მსოფლიოსათვის ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის თითქმის 70 წლის მანძილზე პრინციპი — „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს" უცვლელი რჩებოდა ყოველთვის. დღეს, სოციალიზმის დროს, საზოგადოებრიობის დამოკიდებულება ბავშვებისადმი კონსტიტუციურ უფლებად არის ქცეული, უფლებად, რომელიც ფართო შესაძლებლობას აძლევს თითოეულ საბჭოთა ბავშვს — განვითარდეს ფიზიკურად და სულიერად, მიიღოს ცოდნა, ისარგებლოს საზოგადოების ყველა სიკეთით. საბჭოთა ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში არამარტოდ ცალკე მუხლია ბავშვთა უფლებებზე, მშობლების მოვალეობაზე, არამედ კონსტიტუციის თითოეული მუხლი ბავშვზე ზრუნვის სულისკვეთებით არის შედგენილი. საბჭოთა მოქალაქეების თანასწორობა სქესის, ეროვნების თუ რასის მიუხედავად; დასვენებით, ბინით, კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება და მრავალი სხვა. ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებების დეკლარაცია.

დღეს საბჭოთა კავშირში დედათა და ბავშვთა დაცვის განსაკუთრებული, ღრმაშინაარსიანი სისტემა მოქმედებს. ეს არის ათასობით ქალთა კონსულტაცია, ბავშვთა პოლიკლინიკა, ამბულატორია, საავადმყოფო, სანატორიუმი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, ათასობით სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება, პიონერთა სასახლეები და სახლები, სხვადასხვა პროფილის პიონერული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ბანაკები, სპორტული კომპლექსები, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა, ტურისტ-მხარეთმცოდნეთა სადგურები, ათასობით სამუსიკო, მხატვრულ-ქორეოგრაფიული სკოლა და ამ დაწესებულებათა ქსელის ზრდის კიდევ უფრო მომხიბლავი პერსპექტივა.

საბჭოთა კავშირში 70 გამომცემლობა ჩვენი ქვეყნის ხალხთა 52 ენაზე მხოლოდ ბავშვებისათვის ბეჭდავს წიგნებს. ჩვენთან გამოშვებული თითქმის ყოველი მეოთხე მხატვრული ფილმი სწორედ ბავშვებს ეკუთვნის, მათ ცხოვრებას ასახავს. ჩვენს ქვეყანაში 68 საბავშვო გაზეთი და ჟურნალი გამოდის.

საქართველოს მოსწავლეთა მილიონიანი ოჯახი მრავალეროვანია. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობენ 80-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები. დღენიადაგ მტკიცდება ნორჩი თაობის მეგობრობა და ძმობა. ფართოვდება მათი კონტაქტები მოძმე სოციალისტური ქვეყნებისა და მსოფლიოს ბავშვებთან. ეს ჩვენი სკოლის ღვაწლია, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით, კომკავშირთან ხელიხელჩაკიდებული ზრდის ახალ თაობას საბჭოთა ხალხის — ადამიანთა ახალი ისტორიული ურთიერთობის საერთო ეროვნული სიამაყის სულისკვეთებით.

მეორე წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმამ დაიწყო მოქმედება. რეფორმის ძირითადი მიზანი მისი ყოვლისმომცველობაა, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს სახალხო განათლების ყველა რგოლის მასშტაბებს. დიდი ამოცანები დადგა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა წინაშე. მათ პატარაობიდანვე უნდა ჩაუნერგონ ბავშვებს სამშობლოს სიყვარული, უფროსების პატივისცემა, ამხანაგობა და კოლექტივიზმი, ყოფაქცევის კულტურა, მშვენიერების გრძნობა, განუვითარონ შემეცნებითი ინტერესები და უნარი, დამოუკიდებლობა, ორგანიზებულობა და დისციპლინა. პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღების ცენტრშია სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის ზრდა და მასში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მაქსიმალური ჩაბმა, მათი სკოლისათვის მომზადების პრობლემები. ამაზე ნათლად მეტყველებს ციფრები და ფაქტები. XI ხუთწლედში ჩვენმა ნორჩებმა საჩუქრად მიიღეს 239 ბაგა-ბაღი გათვალისწინებული 28 ათასი ბავშვისათვის. გაუმჯობესდა სააღმზრდელო დაწესებულებების კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. ექვსწლიანი ბავშვების პირველ კლასებში წასვლამ, რა თქმა უნდა, საგრძნობლად შეცვალა არამარტო სკოლამდელ დაწესებულებათა ბავშვების ასაკობრივი სტრუქტურა, არამედ მათთან მუშაობის ფორმები და მეთოდები. წინა პლანზე წამოიწია ხუთწლიანთა ანუ უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სკოლისათვის მომზადების საკითხი. დამუშავდა ამ ასაკის ბავშვთა აღზრდისა და სწავლების პროგრამა. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გაცილებით მეტი გვაქვს გასაკეთებელი. ამ საქმეში ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერისა და დახმარების დიდი იმედი გვაქვს.

განვლილ ხუთწლედში აშენდა და მწყობრში ჩადგა 227 სკოლა. დღეს ბავშვების განკარგულებაშია 21 გახანგრძლივებული დღის სკოლა, 4514 გახანგრძლივებული დღის ჯგუფი. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია უფასო სახელმძღვანელოებით.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. დღეისათვის რესპუბლიკაში შექმნილია სპეციალური სანატორიული სატყეო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დიფერენცირებული ქსელი. ბევრი რამ კეთდება საბავშვო სახლების და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების ქსელის მოწესრიგების მიზნით. ბოლო ხუთწლედში რესპუბლიკაში აიგო 4 ახალი სკოლა-ინტერნატი და 3 საბავშვო სახლი. რეკონსტრუქცია-გაფართოებითი სამუშაოები ჩაუტარდა ათზე მეტ ინტერნატულ დაწესებულებას. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინტერნატული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კიდევ უფრო ფართო მასშტაბები მიეცემა მიმდინარე ხუთწლედში ამ ტიპის დაწესებულებათა მშენებლობისა და კეთილმოწყობის საკითხებს.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ხორციელდება ფრიად საინტერესო ღონისძიებები. სულ უფრო ფართოვდება მოზარდი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა. იხვეწება სასწავლო პროცესი, მეტი ყურადღება ეთმობა მასობრიობას. რესპუბლიკაში 207 ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლაა, აქედან განათლების სისტემაში 141. სკოლებში ფუნქციონირებს სპორტის 28 სახეობა, 13350 სპორტული სექცია. მათში მეცადინეობს 323 700 მოზარდი, მომზადდა 277 600 მშთ ნიშნოსანი, 206 200 სპორტსმენი თანრიგოსანი. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხებს ემსახურება 3828 მასწავლებელი. მათ განკარგულებაშია სპორტული დარბაზები, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ფეხბურთის მოედნები, სასროლი ტირები, საცურაო აუზები და ა. შ.

რესპუბლიკის მოსწავლე-ახალგაზრდობას ემსახურება განათლების სისტემაში არსებული 135 სკოლისგარეშე დაწესებულება. მათ შორისაა პიონერთა სახლები და სასახლეები, ნორჩტექნიკოსთა, ნორჩნატურალისტთა, ნორჩ ტურისტმხარეთმცოდნეთა სადგურები, პიონერული პარკები, მხატვრული აღზრდის სახლები, ბავშვთა ნახატების გალერეა. აქ შექმნილ 5 ათასზე მეტ წრეში გაერთიანებულია 80 ათასი მოსწავლე. ყოველწლიურად რესპუბლიკის 1300-მდე სხვადასხვა პროფილის პიონერულ და ახალგაზრდულ ბანაკში 228 ათასზე მეტი მოსწავლე ისვენებს.

რესპუბლიკაში შექმნილია მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ფართო ქსელი. დღეისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან შექმნილია და მუშაობს 1274 გუნდი, 256 ფოლკლორული და 162 ხალხურ საკრავთა ანსამბლი, 503 სამუსიკო სტუდია, 752 ქორეოგრაფიული წრე და სტუდია, დრამატული და თოჯინური, მხატვრული კითხვის, სახვითი ხელოვნების, კინოს წრეები, კინოკლუბები და კინოლექტორიუმები.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის სისტემაში მნიშვნელოვანი აღმზრდელობითი ფუნქცია აკისრია პრაქტიკაში უკვე დამკვიდრებულ რესპუბლიკურ ღონისძიებებს. სულ უფრო იხვეწება ბავშვებისათვის, მათი აქტიური მონაწილეობით ჩატარებული საბავშვო მუსიკის, კინოს, საბავშვო და საყმაწვილო წიგნის, ნორჩ მხატვართა, თეატრალური ხელოვნების რესპუბლიკური კვირეულები.

მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში სკოლას მხარში უდგას რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენცია. ზემოთ ჩამოთვლილი ტრადიციული ღონისძიებებიც მათი უშუალო მხარდაჭერითა და მონაწილეობით ეწყობა.

სკპ XXVII ყრილობაზე, პოლიტიკურ მოხსენებაში აღინიშნა, რომ „ძირეულად უნდა გავაუმჯობესოთ ახალგაზრდობის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომისათვის, აღვზარდოთ ახალი საზოგადოების შეგნებული მშენებლები". ვერავინ იტყვის, რომ ჩვენი ბავშვები არ სწავლობენ შრომას, არ იზრდებიან შრომით ტრადიციებზე. და მაინც, ჩვენ არა ვართ მათი შრომითი სწავლებითა და აღზრდით კმაყოფილი. საზოგადოება სკოლისაგან მოზარდი თაობის შრომითი ცხოვრებისათვის მომზადების სრულყოფას მოითხოვს. ამაში გამოიხატება სკოლის რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, რომელიც მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესის საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლურ შრომასთან ჰარმონიულ შეხამებას მოითხოვს. სასიხარულოა, რომ ბოლო დროს სკოლა და ოჯახი დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრებისათვის მოზარდის მოსამზადებლად სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ ერთმანეთს, ცდილობენ ერთობლივ მოქმედებას.

სულ ახლახან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ მოიწონა თბილისის მასწავლებელთა IX საქალაქო კონფერენციის მონაწილეების ინიციატივა, სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა საპასუხოდ, XII ხუთწლედის მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლების ხუთწლედად გამოცხადების შესახებ. რესპუბლიკის სკოლებში უკვე ჩატარდა მშობელთა საერთო კრებები. კრებების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საშეფო ორგანიზაციების, მშობელთა სამუშაო ადგილების მიხედვით საწარმოო-დაწესებულებების, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა და სათანადო შეფასება მიეცა ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულ ნეგატიურ მოვლენებს. განიხილეს შვილების

ალზრდის საქმეში მშობელთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები, დამტკიცდა სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი მუშაობის კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

მოზარდ თაობაზე პარტიისა და მთავრობის ზრუნვის უდიდესი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებით მე-12 ხუთწლედი სკოლაზე ზრუნვის ხუთწლედად გამოაცხადეს. ეს ბევრს ავალებს რესპუბლიკის თითოეულ კომუნისტს, სამეურნეო ხელმძღვანელს, მუშას თუ ინტელიგენტს, რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობას. სკოლაზე, მოზარდი თაობის ზრუნვა ქვეყნის ხვალინდელ დღეზე, მის ძლიერებაზე, აყვავებასა და წინსვლაზე ფიქრია, მისი წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია.

1986 წელი მშვიდობის საერთაშორისო წელია. მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის უფროსებთან ერთად დღეს აქტიურად იბრძვიან ჩვენი ბავშვებიც. სამანტა სმიტი და კატია ლიჩევა, ათასობით და ასიათასობით მათი თანატოლი მოითხოვდა და მოითხოვს უდარდელ ბავშვობას, უღრუბლო ზეცას, მშვიდობასა და ბედნიერებას დედამიწაზე. მშვიდობის საერთაშორისო წელი სამართლიანად ჩაითვლება დედათა და ბავშვთა წლად, ვინაიდან სწორედ დედობამ, დედის გულმა უნდა შთაუნერგოს ნორჩ თაობას იმის რწმენა, რომ მხოლოდ სიკეთით, მშვიდობიანი თანაარსებობით შეიძლება უზრუნველყონ ნათელი ცხოვრება.

ბავშვთა შორის ჩატარებული მრავალმხრივი მუშაობა დედათა და ბავშვთა დაცვის ღონისძიებათა სისტემა, ყოველთვის განიხილება, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საყოველთაო პროგრამა. ეს პროგრამა მიზნად ისახავს, რომ საბჭოთა კავშირის ყველაზე საპატიო მოქალაქეებმა სრულად მიიღონ ჩვენი ქვეყნის მიღწევათა საუკეთესო მონაპოვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

„...დასახულია ამოცანა, უკვე უახლოეს წლებში მთლიანად დავაკმაყოფილოთ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებზე მოსახლეობის მოთხოვნილება“.

სკკპ XXVII ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებიდან.

# ჩვენს ბაგა-ბაღებში



უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა ქ. თბილისის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების, ფიზიკური აღზრდის, სამედიცინო დახმარებისა და კვების სრულყოფის მიზნით. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობის ამაღლებისათვის. პედკოლექტივების ერთსულოვნების, საქმისადმი ერთგულების, პროფესიისადმი ღრმა სიყვარულის შედეგად დღეს დედაქალაქის ბევრ ბაგა-ბაღში შექმნილი გარემო უდავოდ მიანიჭებს მნახველს უდიდეს სიამოვნებას. როგორც საქმის ენთუზიასტებს შეჰფერით, მათი გამგეები ფუტკარივით ფუსფუსებენ, კითხულობენ, წერენ, იმახსოვრებენ ყველაფერს, რისი შესწავლაც შეიძლება კოლეგების გამოცდილებიდან და რაც მათ ჩანაფიქრს ხორცს შეასხამს. ბევრი ბაგა-ბაღი ჩამდგარია მოწინავეთა რიგებში.

* * *

№ 28 ბაგა-ბაღი (გამგე ე. ჟორდანია) ვარკეთილის დასახლებაში მდებარეობს. უთუოდ ქების ღირსია მისი მრავალმხრივი, გეგმიანი და სისტემატური მუშაობა, სხვა ბაღებთან კავშირის განმტკიცების, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.

ბაგა-ბაღში თავიდანვე ტრადიციად იქცა ყოველდღიურ მუშაობაზე დაკვირვება და მისი სათანადოდ გაანალიზება. 1976 წლი-











დან აქ შექმნილია ტექნიკურ საშუალებათა მეთოდკაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სწავლა-აღზრდისათვის აუცილებელი ყველა ხელმისაწვდომი ტექნიკური საშუალებებით. ბაგა-ბაღს აქვს თავისი რადიო კვანძი, ლინგოფონის კაბინეტი, რომელიც გამოიყენება რუსული ენის შესასწავლად. ასაკობრივ ჯგუფებში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით რეგულარულად ტარდება მეცადინეობები: მეტყველების განვითარების, გარემოს გაცნობის, ხატვის, კონსტრუირების, საშენებლო მასალით გართობის ხაზით. ტექნიკურ საშუალებათა მეთოდკაბინეტში თავს იყრის მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული ყველა მასალა. კაბინეტში შემოღებული კარტოთეკა აღმზრდელებს საშუალებას აძლევს სწრაფად შეარჩიონ აუცილებელი მასალა მეცადინეობებისათვის. განუხრელად იზრდება ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების დანერგვა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. ბაგა-ბაღს აქვს თანამედროვე დონეზე მოწყობილი მუსიკალური, ფიზკულტურული დარბაზი და დახურული საცურაო აუზი. სისტემატურად ტარდება გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფიზწუთებს.

ბაგა-ბაღის კოლექტივის კარგი მუშაობა აღინიშნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლით.

* * *

№ 63 ბაგა-ბაღმა (გამგე ლ. მოსიძე) სერიოზული შემოქმედებითი მუშაობა გასწია მეთოდკაბინეტის დაარსებისათვის. გამოცდილი აღმზრდელების მიერ დამზადებულია პროგრამით გათვალისწინებული თვალსაჩინოების მასალები. შეკრებილია მეთოდური წერილები და კონსპექტები. კაბინეტთან მოწყობილია სექციები ცალკეული განაყოფების მიხედვით; თითოეული განაყოფი აღჭურვილია თვალსაჩინო მეთოდური და დიდაქტიკური მასალებით. მათი სიუხვე განსაკუთრებით იგრძნობა შემოქმედებითი და დიდაქტიკური თამაშების გასაშლელად: „გემობანა", „სახლობანა", „ფოსტა", „ექიმის კაბინეტი", „აფთიაქი", „ყვავილების მაღაზია", „ქართული ეთნოგრაფიული კუთხე", „შრომის კუთხე" და სხვა. ამ დროს ბავშვები, თამაშის გარდა, ერთმანეთს უყვებიან ზღაპრებს. გართობისათვის შექმნილია თოჯინების, ლანდების თეატრი, დამზადდა თეჯირი, ბავშვთა ასაკის გათვალისწინებით. სასკოლო რეფორმის ახალ მიმართულებებთან დაკავშირებით ბაგა-ბაღთან მუშაობს პირველი კლასი ექვსიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. კლასი ითვალისწინებს ბავშვთა მომზადებას საბავშვო ბაღის პირობებში სკოლის პროგრამით. კლასის მუშაობის გამოცდილება განზოგადდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

* * *

დედაქალაქის პირველმა ბაგა-ბაღმა (გამგე ნ. კეპულაძე) კარგი მუშაობით დიდი ხანია მოიპოვა საერთო აღიარება. ბაგა-ბაღში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს ესთეტიკური გარემო, სისუფთავე, წესრიგი. წლების განმავლობაში ბაგა-ბაღში დიდი მუშაობა ტარდება მშობლიურ ენაში. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ბაღის ყოფილი გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, აწ გარდაცვლილი ქეთევან კაკუშაძე თავად იყო თანაავტორი ლექსის შესწავლის მეთოდიკისა, რომელმაც პრაქტიკული განხორციელება სწორედ ამ ბაგა-ბაღში ჰპოვა. ბაგა-ბაღი დიდი ტრადიციების მქონეა. ის წარმოადგენს ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სასწავლო ბაზას. მისი აღსაზრდელები გამოირჩევიან მკაფიო მეტყველებითა და დეკლამაციით. მაღალ დონეზეა დაყენებული ესთეტიკური აღზრდა. მუსიკალურ მეცადინეობებს უნარიანად ატარებს პედაგოგი მ. დეკანოიძე. სახვით ხელოვნებაში შესანიშნავად მუშაობენ აღმზრდელები: დ. ოავაძე, მ. წერეთელი, ნ. ამირანაშვილი, ი. ნაჭყებია და სხვები. ახალგაზრდებს მხარში უდგანან და თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ უფროსი თაობის აღმზრდელები თ. ნიქაბაძე და მ. გოგინაშვილი.

* * *

ბაგა-ბაღი „აისი" (გამგე ლ. ღოლობერიძე) ერთ-ერთი უძველესია თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ შეგუებულ შენობაშია მოთავსებული, შესვლისთანავე თვალს იტაცებს ორიგინალური გაფორმებით, სათავსოების მოხერხებული გამოყენებით. რაიონის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა შენობის მობინადრეთაგან გასათავისუფლებლად და ბაგა-ბაღში ბავშვთა ზნეობრივი, ფიზიკური, ესთეტიკური აღზრდისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. ბაგა-ბაღი მუშაობს ფიზიკური აღზრდის ხაზით. შეფმა ორგანიზაციამ საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ ბაგა-ბაღს საჩუქრად გადასცა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი", ეზოს კეთილმოწყობისათვის გაიღო 20 ათასი მანეთი.

* * *

№ 36 ბაგა-ბაღის (გამგე დ. დარახველიძე) ახლის მაძიებელი პედაგოგ-აღმზრდელები დღენიადაგ ზრუნავენ ფეხი აუწყონ დროის მოთხოვნას. აქ წინა პლანზეა წამოწეული სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შორის საგზაო მოძრაობის წესების ელემენტების შესწავლა-დაუფლების საქმე. ეზოში მოწყობილია ავტომოედანი შუქნიშნებით. აღსაზრდელები ავლენენ მგზავრებისა და ფეხით მოსიარულეთა წესების ცოდნას ყოველდღიურ საქმიანობაში, თამაშში, სახვითს შემოქმედებაში. პატარა, ფორმიანი წესრიგის დამცველები მიუთითებენ „ტრანსპორტით" მოსიარულე მძღოლებს, თუ სად შეიძლება შეჩერება, გავლა, დადგომა. საინტერესო მუშაობისათვის ბაგა-ბაღი შარშან დაჯილდოვდა ფულადი პრემიით; მაგრამ ყველა სკოლამდელი დაწესებულება მოწინავეთა რიგებში რომ არ დგას, ეს ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობის გარდა ხშირად განპირობებულია სხვადასხვა ობიექტური მიზე-

ზებით. რა ესთეტიკურ გარემოზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ბაღი შეუფერებელ შენობაშია, ჯგუფის ოთახები ბნელია, სახურავიდან ჩამოდის წყალი, მოუწესრიგებელია ეზოგარემო. ნაკლებად არის მწვანე ნარგავები.

ქალაქის საბავშვო ბაგა-ბაღებს, რაიონის თუ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ზრუნვის მიუხედავად, მაინც საკმაოდ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა აქვთ, მათგან ყველაზე გადაუდებლად მიგვაჩნია შემდეგი:

უსათუოდ უნდა შესწორდეს ბაგა-ბაღების მოქმედი ტიპიური პროექტები, რომლებიც არ ითვალისწინებენ სპორტულ დარბაზსა და მცირე მოცულობის საცურაო აუზს;

ყოვლად გაუმართლებელია საბავშვო დაწესებულებებში იატაკისათვის ლინოლეუმის გამოყენება.

მოსაწესრიგებელია საბავშვო დაწესებულებების კვების პროდუქტებით მომარაგების საკითხი. დღეისათვის ისინი მარაგდებიან საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს საბიუჯეტო და „ხილბოსტანვაჭრობის" სპეციალური მაღაზიებიდან. პრაქტიკულად გამართლებული იქნება, თუ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პროდუქტებით მომარაგებისათვის შეიქმნება სპეციალური სავაჭრო ორგანიზაცია. ამასთან, საჭიროა დაისვას საკითხი რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს წინაშე ბავშვთა კვების ასორტიმენტის გაზრდის შესახებ. გადაწყდეს საკითხი, რომ საბავშვო დაწესებულებას მიეცეს ბავშვთა ნორმების შესაბამისად კვების პროდუქტების დაფასოებული ნახევარფაბრიკატები და 50 და 100 გრამიანი პური, სასკოლო ფუნთუშების მსგავსად.

ადრე, სარეწაო საბჭოს სისტემაში მზადდებოდა ქართული თოჯინა. ამ სისტემის გაუქმებასთან ერთად ქართული თოჯინის დამზადება შეწყდა; თითქმის ყველა რესპუბლიკაში ამზადებენ ეროვნულ თოჯინებს, ვფიქრობთ, საჭირო იქნება ქართული თოჯინისა და ქართული ზღაპრების პერსონაჟთა დამზადება.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საზაფხულო დასვენებისათვის კერძო მობინადრეთა ბინების დაქირავება ბევრ უხერხულობასთან არის დაკავშირებული. აუცილებლობად მიგვაჩნია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღოს სპეციალური გადაწყვეტილება სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის საագარაკო მშენებლობის შესახებ, რადგან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი 183 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან მხოლოდ ოთხს აქვს საკუთარი აგარაკი.

დიახ, ჩვენი პირველი საზრუნავია, რომ მთლიანად დავაკმაყოფილოთ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებზე მოსახლეობის მოთხოვნილება.

**მ. ბერმესაშვილი,**
თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსი.

# წაუკითხეთ პატარებს

**ნაზი თარგამაძე**

## მზე და ნაკადული

— სად გარბიხარ ნაკადულო,
ნამცეცა და ციდავ,
— გეტყვი მზეო, ერთი წუთით
თუ ჩამოხვალ ციდან.

— გეწვეოდი, მთვარესა და
ვარსკვლავებსა ვფიცავ,
მაგრამ ვერსად ვერ დამიტევს
მთელი დედამიწა.

ჩუმად მზეო, ეგ ტყუილი
არ გაგიგონ სხვებმა,
ამოდენა დედამიწა
გე-პა-ტა-რა-ვე-ბა?!

— არცა ვცრუობ, ვფიცავ, თავსაც
არ გაჩვენებ დიდად,
თუ არ გჯერა, შე ლიკლიკავ,
ჰკითხე ვისაც გინდა.

მეტსაც გეტყვი, იმ ციმციმა
ვარსკვლავებს რომ უმზერ,
ზოგ მათგანსაც ვერ დაატევ
დედამიწის ზურგზე.

მეხუმრები? ეგ რაღა სთქვი
მშვენიერო მზეო,
ზოგ ვარსკვლავსაც ვერ დაატევ
დე-და-მი-წა-ზეო?!

ჩემი თვალით დამინახავს
ძირს ვარსკვლავთა ცვენა,
თუ ვტყუოდე ჩემო მზეო,
დამიდუმდეს ენა!

* * *

ბებოს სათვალე ვიპოვე
ბაღში — ჩვენი სახლის წინა,
— „ჭია-ჭია მაპოვნინე" —
ვიძახდი და მაპოვნინა.



## დიდზე დიდი ოცნება მაქვს

როგორ მინდა გავიზარდო მალე,
მერე როცა სკოლას დავამთავრებ —
კოსმონავტი მინდა გავხდე ბარემ,
მინდა ძირს ჩამოვიტანო მთვარე.

დიდზე დიდი ოცნება მაქვს კიდევ
ცაზე მინდა მივაყუდო კიბე,
და მზე მარტო რომ არ იყოს ხოლმე
მის მახლობლად მთვარეს ჩამოვკიდებ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა გენაცვალოს!



დღემდე მომყვა მოძახილივით ქრუანტელის მომგვრელი საქართველოს ტელევიზიის 18 თებერვლის გადაცემა „ლალატი". სულ თვალწინ მიდგას საბავშვო სახლის ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი პატარა ბიჭი, მოწყენილი და სევდიანი რომ გაყურებს ქუჩას და დედას ელოდება. ამ მოძალებულ გრძნობას ვერ შეცვლის ბავშვში ვერც სახელმწიფოს უდიდესი ზრუნვა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე, ვერც აღმზრდელის ათობით ბავშვისათვის გადანაწილებული ამაგი (ნამდვილი ამაგი და არა მოვალეობის უგულოდ შესრულება, როგორც გადაცემაში იყო ნაჩვენები). ამიტომ იყო ბატონ სანდრო მამასახლისის (ვისაც მიჰყავდა ეს გადაცემა) შეკითხვაზე, ვინ გიყვარსო და თქვენო, პასუხობდნენ ბავშვები, გასაქანს არ აძლევდნენ. სხვის მამას შემოჩვეულები იმ ალერსის წყურვილს თუ იკლავდნენ, არასოდეს რომ არ ღირსებიათ საკუთარი დედ-მამისაგან.

ძლიერი ზეგავლენა ამ გადაცემისა დღემდე იგრძნობა. საზოგადოებრივ ტრანსპორტში, თავშეყრის ადგილებში, სახლში თუ სხვაგან ადამიანები ბევრს ლაპარაკობენ და მსჯელობენ, ბატონ სანდროს მიერ გამოთქმულ აზრს აგრძელებენ: ვინ ანუგეშოს ფანჯარასთან, ღობესთან, კარებთან მიმდგარი, დედის თბილი გულის მომლოდინე პატარები.

მე და ჩემს მეგობარსაც, უცხო ენების ინსტიტუტის პედაგოგს ლეილა სადრაძეს, ბევრჯერ გვქონდა საუბარი ამ მტკივნეულ განსახჯელზე. არის თუ არა ჩვენს ხასიათში, ჩვენი ქალების ხასიათში, როგორც წინათ, სხვის შვილებზე, მიუსაფარებზე ზრუნვა და ყურადღება. მოვიგონოთ ბევრი ზღაპრის აუგად ხსენებული დედინაცვლის პერსონაჟიც. მაგრამ საბედნიეროდ სიკეთის ქმედების ზრდასთან ერთად დედინაცვლობამაც მკვეთრად იცვალა სახე.

ჩვენს შორის ცხოვრობს (და რამდენი ასეთი ქალი ცხოვრობს ქვეყანაზე) საოცრად დიდი გულის მქონე ჟურნალისტი ქალი, რომელმაც თავის დროზე გადაწყვიტა ცოლად გაჰყოლოდა ხუთი შვილის მამას. მაშინ უმცროსი ექვსი წლისა თუ იქნებოდა, უფროსი — თორმეტისა. თხუთმეტი წლის განმავლობაში ამ ქალის ბავშვებზე გაწეულმა ამაგმა, მათ სიცოცხლეზე გადაგებამ, ბავშვებში გაალვივა უზომო სიყვარული და პატივისცემა.

— დედა, — დაუძახა პირველად სულ პატარამ.

— დედა გენაცვალოს შვილო, — ჩაიკრა გულში ბავშვი ცრემლმორეულმა ქალმა.

— დედა, დედიკო, — შემოეხვივნენ დანარჩენებიც.

თუ არსებობს იმ სიკეთეზე უფრო ძლიერი ძალა, რომელსაც შეუძლია უცხო და სხვისეული აქციოს თავისეულად და სისხლხორცეულად...

ამ რამდენიმე წლის წინ „პრავდაში" იყო გამოქვეყნებული წერილი „დედა". ავტორი მოუთხრობდა მკითხველებს ქალის ცხოვრებაზე, რომელმაც ათი ბავშვი აიყვანა იმ საბავშვო სახლიდან, სადაც თვითონ იყო დირექტორად. არ შეეპუა ქმართან უკმაყოფილებას, ყველას ნამდვილი დედობა გაუწია, ყველა სწორ გზაზე დააყენა. დაცოლშვილდნენ, დათხოვდნენ შვილები. როდესაც დედა გარდაიცვალა, მადლიერმა შვილებმა საფლავის ქვას ასე წააწერეს „შენა ხარ დედა ჩვენი სინდისი".

მერე ქალბატონმა ლეილამ მოიგონა ერთი ფილმის შინაარსი, სადაც ახალგაზრდა პედაგოგი სკოლა-ინტერნატში მიდის სამუშაოდ. ხედავს, ბავშვების საკმაოდ დიდ ჯგუფს არასოდეს არ აკითხავს არც დედ-მამა, არც ახლობელი. შეწუხდა, თავისი გულისტკივილი გაუზიარა ყველას, ვისაც კი შეეძლო ამ საქმეში დახმარებოდა.

— ნეტავ აღმოჩნდებოდნენ კეთილი ადამიანები და ბავშვებს შაბათ-კვირას მაინც წაიყვანდნენ სახლში, ოჯახურ გარემოსა და სითბოს აგრძნობინებდნენ. — ეუბნებოდა მათ.

ამას გამოხმაურება მოყვა. ერთი უბრალო მუშა ქალი, რომელსაც არც დიდი შემოსავალი ჰქონდა და არც საკმარისი ბინის ფართობი, ხშირად აკითხავდა პატარას. ამაგმა თავისი გაიტანა, ვერ დათმო ქალმა ბავშვი და იშვილა კიდეც.

შეძლებულმა ცოლ-ქმარმაც შინ რამდენჯერმე წაიყვანა მეორე გოგონა. თეთრი ქურქი უყიდეს, სათამაშოებით აავსეს, მანქანით ასეირნეს, დაპირდნენ კიდევ მოვალთ და წაგიყვანთო. მაგრამ ამაოდ ელოდა გოგონა. მოიწყინა ბავშვმა და დადარდიანდა.

ახალგაზრდა პედაგოგის შეკითხვაზე, რატომ ატკინეს ასე მწარედ ბავშვს გული, ცოლქმარმა უპასუხა:

— იატაკი დაგვისვარა, ყველაფერი აგვირია და გადავწყვიტეთ აღარ მივიდეთ ბავშვთან.

მერე სიტყვა ჩამოვარდა ჩვენს შესანიშნავ ფილმზე „სხვისი შვილები", მამამ რომ მიატოვა ღვიძლი შვილები და დედინაცვლის მხურვალე გულმა ვერ გაუძლო... დაბრუნდა შინ, ბავშვებთან.

განა ცოტანი არიან ქალები სხვისი შვილებისადმი სიყვარული ვერავის რომ ვერ უწილადეს და ამისათვის ქალური ბედნიერებაც დათმეს. სხვაგან შორს წასვლა რად გვინდა, მაგალითად ა. ადამიას ცხოვრებისეული, შესანიშნავი ნაწარმოები „დიდი და პატარა ეკატერინე" გამოდგებოდა. პატარა ეკატერინემ დიდი ეკატერინეს სიკვდილის შემდეგაც არ იცოდა მისი ნამდვილი დედა რომ არ იყო იგი. არავინ და არაფერი ისე სანუკვარი არ იყო დიდი ეკატერინესათვის, როგორც ამ ერთად-ერთი ძვირფასი არსების სიხარული და ბედნიერება. წუთით გადაავლებდა თვალს თავის ცხოვრებას, მაგრამ დედობა ფარავდა ქალობის განცდას."

არ ვიცი ვის მოეწონება საკმაოდ ცნობილი ადამიანების (ეს იქნება პროფესორი, ექიმი თუ სხვა) მოქმედება, რომელთა სავსე ოჯახის ერთად-ერთი საზრუნავი ძაღლის აღზრდა გამხდარა. ბევრჯერ გადგომია ასეთი უშვილო ცოლ-ქმარი სასურველი ჯიშის ძაღლის ლეკვის საშოვნელად შორ გზას (იმაზე შორს, ვიდრე კოჯრის ბავშვთა სახლის გზაა). ერთხელაც არ მოსვლიათ აზრად, ბევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად უკეთესი იქნებოდა ბავშვისათვის დაედოთ ამაგი და თავიანთი სიბერე გაებედნიერებინათ. ვრცელ დარბაზებში, სადაც ისინი ცხოვრობენ ძაღლიც თავისუფლად მოთავსდებოდა და ბავშვიც.

შვილებიანი დედებიც ვერ უძლებდნენ ხშირად უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების ცოდვას.

სამტრედიის რაიონში არის ერთი ლამაზი სოფელი დაფნარი. აქ ცხოვრობდა პედაგოგი ქალი მარიამ არდიშვილი, ცხრა შვილის დედა. სახლიდან სკოლაში, სკოლიდან სახლში, სახლიდან მშობლებთან გზად იყო გადებული. რამდენჯერ დათენებია გაკვეთილების მზადებაში, ბავშვებისა და ოჯახის მოვლაში. და მაინც გულმა ვერ გაუძლო დამშვიდებით ეცქირა მეზობლის უდედმამოდ დარჩენილი გოგონასათვის.

— ჩემს ათ შვილს ენაცვალოს დედა, — იტყოდა ხოლმე მარიამი. როცა ჯარში წავიდა მისი ვაჟიშვილი, გულმკერდი შანთით დაიდაღა, უვნებელი დამიბრუნდებაო ბიჭი. დაბრუნებულ ვაჟს დედის გულში ჩაკვრა და მოფერება რომ უნდოდა, დამ უთხრა:

— ფრთხილად, ბიჭო, ხომ იცი დედას მკერდი რომ ტკივა.

ჩვენს ხასიათში, ქალის ხასიათში ზის სწორედ საკუთართან ერთად სხვისი ტკივილის განცდა, მიშველება, დახმარება, მუდარის შესმენა, ამაგის დადება. მაშ როგორ ხდება ქალი შობს შვილს და საკუთარ სისხლსა და ხორცს უდედოდ ტოვებს, დროს ტარებასა და უზნეო ცხოვრებას ანაცვალებს პირმშოს.

შვილის უმადურობა უფრო საცნაურია, ვიდრე დედის ღალატი. ლეგენდაც არსებობს ამის შესახებ. შვილმა მიჯნურის სურვილის აღსასრულებლად დედას გული ამოაჭრა. გზაზე რომ მიდიოდა ქვას წამოკრა ფეხი. შეშფოთებულმა დედის გულმა მიაძახა: „ნელა შვილო, გენაცვალოს დედაშენი, არაფერი იტკინოო“. ასეთია ცხოვრებაშიც სიყვარულით სავსე დედის გულის შეუვალი და დაუწერელი კანონი.

საზოგადოების რისხვა ვის უფრო დაატყდება თავს: ჩადენილი შეცდომის დასაფარავად საკუთარ შვილს რომ განზე გადააგდებს, თუ ქვეყანას გაუზრდის და თავს ანაცვალებს მას. მადლიერების მაღალ კვარცხლბეკზე რამდენი დედაა აყვანილი, რომელმაც ყმაწვილქალობის აფეთქებულ გრძნობებს ანგარიში ვერ გაუწია, მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტა შვილს სიცოცხლე ანაცვალოს. გავიხედოთ ჩვენს ირგვლივ და თვითონვე დავინახავთ — პატიოსანი და სათნო დედის სახელდამკვიდრებულ ასეთ ქალებს.

მაშ რა დაემართათ ზოგიერთებს? პასუხი ერთია, პირად გატაცებას მსხვერპლად შესწირეს გული, როგორც სულიერი ორგანო.

საბედნიეროდ, ჩვენს შორის რამდენიც გნებავთ იმდენია გულაძგერებული, კდემამოსილი და სათნო ქალი, რომლებიც ალბათ რითაც შეუძლიათ გამოეხმაურებიან ხსენებულ გადაცემას, ზოგი ბავშვებთან მისვლითა და მიფერებით, უბრალოდ პატარა საჩუქრისა და კამფეტების მიტანით, კვირას სახლში წამოყვანით, თუ კიდევ უფრო დიდი ზრუნვის გამოჩენით — სითბო რომ აგრძნობინონ დედისაგან მიტოვებულ ბავშვებს.

განა ზოგიერთი შეძლებული უშვილო ოჯახის ანდა მარტოხელა ქალის უზრუნველ, შვილმიტოვებული დედის ცარიელ ცხოვრებას არ სჯობია ასეთი ქალების სულიერი სიმდიდრე და სიმაღლე?!..

ხალხს უთქვამს: სიკეთემ ასკეცად იცის ანაზღაურება. „რასაც დასთეს იმას მოიმკიო“. გისურვებთ ჩვენო ლამაზო და მშვენიერო ქალებო, კვლავაც გეფრქვიოთ ირგვლივ სითბო და სიკეთე თქვენი და სხვისი შვილების გასახარად.

თინა ზარგინავა

# „მე კი სოფელში ვრჩები“



ლარისა თოდუა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეათე ბრიგადის ახალგაზრდა მეჩაიე.

მამა — მოკოდი, დედა — ვაკონა.

დედმამიშვილები: რიმა, ხვიჩა, ირმა, გოჩა, თამილა, ნანი, გრიგოლი.

ოცდაერთი წლისა.

ახლობლებში და მეგობრებში ძალზე თავაზიანი და თავდაჭერილი.

საზოგადოებაში მშრომელი და საქმის ერთგული.

სოფელში ამბობენ — ლარისა ხასიათით მამას ჰგავსო. მოკოდი რომ იტყვის, არ გადათქვამსო და მაგალითისათვის ერთი კურიოზული ფაქტი მოჰყავთ ხოლმე: ამ ათი თუ თხუთმეტი წლის წინათ ლარისას მამა ერთ-ერთი ბრიგადის ბრიგადირად მუშაობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, შესანიშნავი ავტორიტეტით სარგებლობდა. კოლმეურნეობის კანტორაში ერთხელ გამგეობის სხდომა ყოფილა დანიშნული. მოკოდის ბრიგადის კრება ჰქონია იმ დროს. კრება დიდხანს გაგრძელებულა და ბრიგადირს გამგეობის სხდომაზე დაუგვიანია. როცა მოკოდი სხდომაზე შესულა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უხუმრია — ყველანი ადექით ფეხზე, უფროსი მოვიდაო. დარბაზში ხარხარი ატეხილა. მოკოდის ხმა არ ამოუღია, მაგრამ მეორე დღეს ბრიგადირის ჩანთა თავმჯდომარისათვის დაუდვია მაგიდაზე და უთქვამს — აღარ მოგიწევთ აწი უფროსის შემოსვლისას ფეხზე ადგომაო. ალბათ თავმჯდომარემ კიდეც ინანა თავისი უტაქტო ხუმრობის გამო, მაგრამ რაღას იზამდა. იცოდა მოკოდი თოდუას პრინციპული ხასიათი და აღარ შედავებია თავმოყვარე ბრიგადირს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ის თავმჯდომარე ნარაზენში აღარ მუშაობს. მოკოდი კი ახლა დამსახურებული კოლმეურნე და რვა შვილის მამაა, რომელიც ხარობს მისი ნამრავლითა და, განსაკუთრებით ქალიშვილის, ლარისას წარმატებებით.

ლარისასაც მამის ხასიათი აქვს. რასაც იტყვის, ან გულში გაივლებს, უნდა შეასრულოს, თუ არადა, ვერ მოისვენებს.

ასე იყო მაშინაც, როცა საშუალო სკოლა დაამთავრა. თანაკლასელებმა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარება გადაწყვიტეს. ვინ სად მიდიოდა, ვინ — სად. ლარისამ კი მეგობრებს განუცხადა:

— წარმატებას გისურვებთ ყველას, მე კი სოფელში ვრჩები!...

ასეც მოხდა.

ლარისა ომეხი თოდუას ბრიგადაში მეჩაიედ მივიდა. ახალი ხილი არ იყო მისთვის ჩაის კრეფა. ადრე დედის გვერდით ეჩვეოდა ამ საქმეს და ამიტომ მალე დაწინაურდა.

— შენ თუ მასე გააგრძელებ ჩაის კრეფას, ბიძიკო, ჩვენს ქალებს უკან ჩამოიტოვებ, — უთხრა ერთხელ ბრიგადირმა ლარისას და მოკრეფილი ჩაის ხარისხი მოუწონა.

ლარისამ მართლაც ბევრ გამოცდილ ჩაის მკრეფავს გაუსწრო.

პლანტაციაში მოსვლას ვერავინ ასწრებდა, პლანტაციიდან კი ყველაზე გვიან ბრუნდებოდა.

ლარისა თვითონ ამუშავებდა გაპიროვნებულ ფართობს, თოხნიდა, ბარავდა, სხლავდა, მინერალური სასუქები შეჰქონდა. ყველაფერს რომ წესრიგში მოიყვანდა, მამას მიეშველებოდა, თოხნიდა სიმინდის ყანას, უვლიდა ბაღჩა-ბაღს, ბოლოს კი ახლგაშენებული ციტრუსების მცირე ნაკვეთიც გაიპიროვნა.

პირველ წელს, ჩაის კრეფის სეზონი რომ დასრულდა, ლარისა თოდუას რვა ტონა ჩაის ფოთოლი ჰქონდა მოკრეფილი. მამასთან ერთად სიმინდის უხვი მოსავალი მოიწია, ოცდაათი კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა და შემოდგომის დასასრულს მომავალი წლის გაზაფხულისათვის მზადებას შეუდგა.

მოწინავე მეჩაიე ბრიგადის კომკავშირელთა მეთაურად და კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩიეს. ამ ნდობამ უფრო მეტი პასუხისმგებლობის წინაშე დააყენა ლარისა. მან გააათკეცა შრომა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება, მეტოქედ მეორე საწარმოო ბრიგადის მოწინავე მეჩაიე ნანი მირგატია ამოირჩია.

ლარისა თოდუას მაჩვენებლები თანდათან იზრდებოდა. 1985 წელს მან თერთმეტი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. ორმოცი კილოგრამი პარკი მიიღო, გახდა კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი და რაიონული საბჭოს დეპუტატი.

დეპუტატმა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას ჩაის პლანტაციებში გზებისა და ხიდების მშენებლობა მოთხოვა. ძნელი იყო ერთბაშად სოფელში ყველაფრის გაკეთება, მაგრამ ლარისამ პრინციპულად დასვა საკითხი და ყველაფერი შესრულდა.

შუადღე იქნებოდა, როცა ლარისას მშობლებს ვეწვიეთ. ეზოში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ლარისამ ოდა-სახლის პირველი სართულის დიდ დარბაზში შეგვიყვანა.

— მშობლები ალბათ ჩაის ბარავენ, ახლავე მოვიყვან! — გვითხრა და გაუჩინარდა.

დიდი ხანი არ იყო გასული და დარბაზში ოჯახის უფროსები შემოვიდნენ.

მამასაც შვილივით კარგი თხრობა სცოდნია. ათასი საინტერესო ამბავი გაიხსენა. გახარებულია, რომ წლეულს მის კოლმეურნეობას საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გარდამავალი წითელი დროშა ერგო.

როცა საუბარი უშუალოდ მას და მის ოჯახს შეეხო, თქვა:

— ოცდათხუთმეტი წელიწადია ვშრომობ. ასე შრომობდა მამაჩემი, ბაბუაჩემი და ჩემი წინაპრები. ასეთები იყვნენ ჩემი მეუღლის მშობლებიც და აბა, რა გასაკვირია, რომ ჩემმა შვილებმა იშრომონ? სხვანაირად მე შვილების აღზრდა არ შემეძლო. ვერ ვიტან უქნარა და მცონარა ახალგაზრდებს. ესეც რომ არ იყოს, ოჯახში ათი სული ვიყავით და აბა, მარტო ჩემი და ჩემი მეუღლის შრომა რას გაწვდებოდა ყველას. ამიტომ შვილები წამოიზარდნენ თუ არა, ყველა სამუშაოდ გავიყვანე. დღეს უკვე წელში გამართულ კაცს მეძახიან. ჩვენი ოჯახი სეზონზე ორმოც ტონამდე ჩაის კრეფს. მარტო ჩაის ფოთოლი წელიწადში ცამეტ ათასამდე მანეთს გვაძლევს. წლის ბოლოს სამ-ოთხ ტონა სიმინდს ვიღებთ.

გამომშვიდობებისას, კითხვაზე — თუ რას უსურვებდა თავის თანატოლებს, ლარისამ გვიპასუხა:

— ვუსურვებდი, რომ გვერდში ამოდგომოდნენ თავიანთ მშობლებს, მათთან ერთად გარჯილიყვნენ და მოეპოვებინათ საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული!

ალეკო მითაიშვილი

თამაშს პატარა ბავშვის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს. თამაშია ბავშვის გონებრივი „მეს" აკვნის დამრწევი, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „ტვინის ძაფების დამძვრელი და პატარა მეტი საფანელის მიმცემი". თამაში მთელი „სკოლაა", სადაც ბავშვს უყალიბდება შრომითი, ზნეობრივი, ესთეტიკური ჩვევები, გონებრივი ძალების მობილიზების უნარი. მეცნიერთა აზრით, თამაშისას ბავშვი თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების პირველ ნაბიჯებს დგამს. დიდი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე თამაშს სკოლამდელი ასაკის ბავშვის „ქცევის ძირითად ფორმას" უწოდებს.

და რადგან თამაში ძირითადად უსათამაშოდ წარმოუდგენელია და სათამაშოს როლი კი სრულიადაც არ არის უბრალო, ამიტომ ყველაფერთან ერთად მან ბავშვს სიხარულიც უნდა მიანიჭოს. სწორედ ამ კეთილშობილური საქმისათვის სამსახური აკისრია თბილისის სათამაშოების საწარმოო გაერთიანებას „სიხარულს". გაერთიანება 1977 წელს ჩამოყალიბდა და სათამაშოების № 1, № 2 ფაბრიკებსა და № 4 მექანიკურ ქარხანას აერთიანებს. გაერთიანების 1200 მუშა-მოსამსახურიდან 860 ქალია, საწარმოს მთავარი ინჟინერი კი ლილი იოსელიანი გახლავთ.

სწორედ ქალთა კოლექტივს მიუძღვის დიდი წვლილი იმაში, რომ გაერთიანებამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. „სიხარულის" გენერალურმა დირექტორმა მიხეილ გვერდწითელმა თქვა:

— გაერთიანებას დიდი სამომავლო გეგმები აქვს. კერძოდ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად დაინერგება მეურნეობისა და მართვის ახალი ფორმები. მე-12 ხუთწლედში ჩატარდება სამივე საწარმოს რეკონსტრუქცია, ამუშავდება ნაძვისხის მორთულობისა და პლასტიზოლის სათამაშოების ახალი საწარმოო ხაზები. ეს იმიტომაც, რომ იკლო რბილად დატენილი ქსოვილის სათამაშოების მოთხოვნილებამ. მათი წარმოების შემცირების ხარჯზე გაიზრდება ინტელექტუალურ სათამაშოთა გამოშვება. წლეულს საწარმო 1,5 ტონა პოლიეთილენს, 0,8 ტონა პოლისტიროლს, 2,5 ტონა ლითონს, ათასობით კილოვატ ელექტროენერგიას დაზოგავს. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე

# „სიხარულისაგან“ — მხოლოდ სიხარული



ნ. გოგინაშვილი







სახელმწიფო 55 ათასი მანეთის ზეგეგმით მოგებას მიიღებს. გამიზნულია მჭიდრო კონტაქტების დამყარება კიბერნეტიკის, ქიმიისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან.

გაერთიანება „სიხარულის“ 11 საამქრო, 40 კომპლექსურ და სპეციალიზებულ ბრიგადას რომ აერთიანებს, ამჟამად 120 სახეობის სხვადასხვა ნაწარმს უშვებს. ესენია: თოჯინები, ნაძვისხის მოსართავები, მექანიზებული, დიდაქტიკური, მუსიკალური და ახალშობილთა სათამაშოები.

აქ დამზადებულ აფრიან ხომალდებს „ბრიგანტინას“, „ოქსიდანს“, „პურკუა პას“ საბჭოთა, პოლონელ, ჩეხოსლოვაკელ, რუმინელ, ვიეტნამელ და კუბელ ბავშვთა მოწონება ხვდა.

რადგან ჩვენი ცხოვრების ნორმად სიმართლე და ობიექტურობა იქცა, ხოლო ობიექტურობა, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა განაცხადა დიდ ფორუმზე, „სხვა არაფერია, თუ არა ავისა და კარგის გარჩევა“, გაერთიანება „სიხარულის“ პროდუქციის ავკარგიანობის დასადგენად ვესაუბრეთ ბავშვთა მშობლებს — მუშებს, პედაგოგებს, ფსიქოლოგებს და ხელოვნებათმცოდნეებს. მათ მოიწონეს „სიხარულის“ მიკროავტომობილები, ხომალდები, სათამაშო „აბა დამაცადე“, მაგრამ არც ის დაფარეს, რომ ბევრი სათამაშოს **ხარისხი ვერ აკმაყოფილებს** მოთხოვნებს; რომ თითქმის არ უშვებენ ხელის სათამაშოებს. ამის პასუხად გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილემ ჯემალ ქოიავამ განაცხადა:

— მოძველებული მანქანა-დანადგარებით ყოველთვის ვერ მიიღება საჭირო ეფექტი. უფრო მეტიც, პლასტიზოლი, რომელსაც შეუძლია „გადატრიალება“ მოახდინოს სათამაშოთა წარმოებაში, დანადგართა სიძველის გამო წარმოებამ სრულად ვერ აითვისა. პლასტიზოლისგან დამზადებული სათამაშოს ერთი ნიმუში ჯერჯერობით ამინდს ვერ ქმნის. ვიმედოვნებთ, რომ სათანადო სამინისტროები უფრო ქმედით ზრუნვას გამოიჩენენ გაერთიანების მიმართ, რადგან ჩვენი მომხმარებლები, ბავშვები ყველაზე უფრო მომთხოვნი და კრიტიკულნი არიან. რაც შეეხება ხელის სათამაშოებს, აქ პატარებს ნამდვილი სიურპრიზი ელით... ისინი მალე მიიღებენ სერგეი ობრაზცოვის თოჯინების შვიდ ნიმუშს. ს. ობრაზცოვი და მისი ხელოვნება წარდგინებას არ საჭიროებს. დიდმა ხელოვანმა ხომ თვითონ დიდებულად წარუდგინა თავი ადამიანებს: „მე ის ადამიანი ვარ, თავისი ბავშვობა რომ არ დავიწყებია“. მომავალში „სიხარული“ რევაზ გაბრიაძის საოცარ თოჯინებსაც დაამზადებს.

ჯემალ ქოიავამ „სიხარულის“ სურვილებიც გაგვანდო: გახსნან სათამაშოების საფირმო მაღაზია თავისი კაბინეტით, სადაც პედაგოგებთან, ფსიქოლოგებთან, ბავშვებთან და მათ მშობლებთან ერთად დაადგენენ ახალ ნიმუშთა ავკარგიანობას.

სიმბოლურია, რომ გაერთიანების ემბლემას შვლის ნუკრი წარმოადგენს, რომლის დანახვაც ასე უხარიათ ბავშვებს. იქნებ გაერთიანებამ მომავალში ასეთივე სიხარული მიანიჭოს ნორჩებს თავისი ნაკეთობებით.

ნათელა ტაბატაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კლავდია დევდარიანი—75

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგია და რედაქციის კოლექტივი გულითადად ულოცავენ და აჯილდოებენ რედაქციის „ღიმილის პრიზით“ ღირსეულ ქართველ ქალს — მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავი რომანების, საბავშვო მოთხრობების, სასწავლო-დოკუმენტური ფილმების სცენარების ავტორს კლავდია დევდარიანს და უსურვებენ ჯანმრთელ, ხანგრძლივ, შემოქმედებითი წარმატებებით სავსე სიცოცხლეს.

# მურა

იმერელი მოსახლის კარ-მიდამოს ვამშვენებ. ქვიტკირის „პალატზე“ ექვსოთახიანი ოდა დგას. ორი მხრით, ფართო ვაზით დაბურული აივანი ჩასდევს.

გაზაფხულდება თუ არა, ხალხით აივსება იმერული კარ-მიდამო. მოდიან და მოდიან სტუმრები, ისმის სიმღერა და ჩქარი ტაში, არის ერთი ორომტრიალი.

ამ ოჯახის მთავარი დიასახლისი ესმა ბებია, პატარა ფირფიტა ქალი, მთელ დღეს ერთხელ არ ჩაიმუხლებს, ბზრიალასავით ტრიალებს, ერთი საყვედური არ წასცდება ამდენი სტუმრის გამო. ოჯახი ბედნიერია და კმაყოფილი.

წლებს წლები მისდევს, დროს — დრო, ყველაფერი იცვლება. შეიცვალა იმერელი მოსახლის კარ-მიდამოც. აღარსად ჩანს ესმა ბებია, ოდის ორი ოთახი თოვლმა ჩამოანგრია, ორიც თავისთავად დაინგრა. დარჩა ოროთახიანი ოდა, დრო-ჟამთა სვლით ჩაშავებული რიკულებით, ნოე ძიას ამარა. ნოე ძიას შვილები ხანდახან თუ შემოირბენენ, გაქცევაზე აქვთ თვალები, ზოგი საზღვარგარეთ ტურისტული საგზურით გარბის, ზოგი — ზღვაზე.

ნოე ძიამ თავის მარტოობის დასაძლევად ბუთხუზა ლეკვი მოიყვანა. ჩემ ჩრდილში დასვა და შარაში მიმავალ ღაღას გასძახა:

— ღაღა, გადმოიარე აქეთ, რა გაჩვენო! — ღაღა გადმოვიდა, მოვიდნენ მეზობლებიც, ყველამ მოიწონა ძია ნოეს ლეკვი.

— მურა დავარქვათ! — თქვა ღაღამ.

— დიდი ძაღლის ჯიშისაა, შესაფერი სახელია! — დაუდასტურა ყველამ.

— ნათლია ვარ, ნათლია! — გაიხარა ღაღამ. — ღაღა — ბავშვობის ეს სახელი სამუდამოდ შერჩა ამ უწყინარ და უბოროტო კაცს. მისი ჩხუბი და აყალმაყალი არავის გაუგონია. სოფელსაც უყვარს სიბერემდე ბავშვობაშერჩენილი, სიმღერისა და ღვინის მოყვარული ღაღა.

ღაღა ომიდან ცალთვალა დაბრუნდა.

მურა მთელ დღეებს ჩემთან ატარებს, ხან ბალახებში გორაობს, ხან საქანელაზე ზის, ჩემს ტოტზე რომ არის ჩამობმული და ქანაობს. ზოგჯერ მოფარფატე პეპლებს კუდაბზეკილი დასდევს, ხან ერთს წაეტანება, ხან მეორეს, სულ გონია დავიჭერო.

ნოე ძიამ მურას სახლი ჩემ ძირში გაუკეთა.

— ეს ადგილი მყუდროა! — ამბობს ნოე ძია.

ჩვენ ისე შევეჩვიეთ, უერთმანეთოდ გაძლება არ შეგვიძლია.

ზამთარია. ყველგან სიჩუმემ დაისადგურა. ზოგჯერ სერიდან ტურების კივილი ისმის და ბარდნის გულდადებით. ქარი შხუილით გვიტევს ტყიდან, ყველგან იჭრება, ჩემ ტოტებზე შემორჩენილ ფოთლებს ჰაერში შეაბზრიალებს, ფოთლები სწრაფად მიეშურებიან დედამიწისაკენ, თითქოს მობეზრდათ სიმაღლის მიუწვდომლობა. ჩვენი ცხოვრების დღეები ერთფეროვანია, მხოლოდ წყაროს არ ელევა საქმე, ერთთავად სადღაც მიიჩქარის, დაუსრულებლად ბუტბუტებს, ნეტა რა აქვს ამდენი სალაპარაკო. შაშვები შემორჩნენ აქაურობას, დაჭახჭახებენ და ახმაურებენ მიდამოს. ხურმის ერთი ტოტიდან მეორეზე დახტიან და ზოგჯერ ზღმარტლსაც ეწვევიან, იქნებ სადმე ტკბილი ნაყოფია შემორჩენილიო. მურა შაშვებს დასდევს, ყეფს, შაშვებს არ ეშინიათ მურასი.

გაზაფხულდა.

გავიხარეთ, რა გავიხარეთ, უხარია ყველაფერს.

— გაზაფხულდა, გაზაფხულდა! ვყვირით ჩვენ. ჩემს გარშემო ბალახი ამოხუსხუსდა, იქაურობა ამწვანდა. მწვანე მინდორი ყვავილებმა დაამშვენა, თავი ამოყო მუდამ მოღიმარმა სამყურამ, მოჩურჩულე ენძელებმა, მოკისკისე კორჩიოტებმა. ლურჯთვალა იებს თვალები დაუჭყეტიათ და ისე მოგვჩერებიან. მინდორი სავსეა ყვავილებით.

ტყე დილით ადრიანად იღვიძებს და სწრაფად ალა-

პარაკდება, ყველაზე ყბედი რთხმელა ენას არ აჩერებს, ქვეყნის ჭორები იცის, სად არის ბევრი სოკო, სად არის მაყვლის ბარდები, რომელ ბუჩქს აფარებს თავს მარწყვი.

ცაზე ღრუბლები ნელა, ზარმაცი მდევებივით მიიზლაზნებიან, სათხებოს თავზე ისე ჩაიხერგენ, ერთმანეთს გასვლას აღარ აცლიან. უეცრად წვიმა წამოვიდა, შხაპუნა წვიმა, ყურს ვუგდებთ ფოთლებზე წვიმის შხაპუნს. მურა წვიმამ შეაშინა, წკმუტუნებს.

— შედი შინ, შედი, განა ტყუილად აგიშენეს! — დავუცაცხანე, ისიც სახლში შებობღდა და გაიტვრინა. წვიმა გაიბუტა. ღრუბლებში მიიმალა.

გამოიდარა.

ცაზე ათასფერი ცისარტყელა გადაიჭიმა. მურა თავის სახლიდან გამოძვრა, ცას ახედა, პირდაღებული მისჩერებია მშვენიერ ცისარტყელას. გაიხარა სილამაზის დანახვით, რა გაიხარა! ხტის, ყეფს, სიხარულით წკმუტუნებს. არ ვეკითხები, რა უხარია, ჩვენ უხმოდ გვესმის ერთმანეთის.

წყაროსთან ყორე დაძველდა, ის დიდი ხნის წინათ ააშენეს. ყორის ქვები ხავსმა დაფარა, ამწვანებულმა ხავსმა წყარო გაალამაზა.

— ეს მზესუმზირა ყორეზე საიდან გაჩნდა? — ტაში შემოვკარი, მურას მზესუმზირისაკენ მივუთითე. მურა მზესუმზირას მიეჭრა, თათები ყორეზე დააწყო და შესძახა:

— ეჰეი, ლამაზო, აქ საიდან გაჩნდი? — მზესუმზირა ოდნავ შეირხა, მზეს ახედა და გაიღიმა.

მურა ჩემთან სტუმრად მოსულ ფუტკრებს აუხირდა.

— თავი დაანებე, ესენი კარგ საქმეს აკეთებენ. — ტუტუცია, არ ჯერა. დასდევს, უყეფს, მერე ერთი მათგანი პირში მოიქცია. ფუტკარი „მტერს" ეკვეთა, ენაგადმოვარდნილი მურა საცოდავად წკმუტუნებს, ამის შემდეგ ფუტკრებს სამუდამოდ თავი დაანება, ახლა შორიდან უყეფს.

დადგა შემოდგომა, წიფობელები დასრიალებენ ცაში. ხეები, ვაზი, ყანა დაკრეფას ელიან. აგუგუნდნენ მანქანები, აჭრიალდა აქა-იქ შემორჩენილი ურმები. მურაც თავისებურად საქმიანობს, მთელი დღე ქაქანებს, მანქანებს ყეფით აცილებს, მანქანები სიჩქარით ჯობნიან, მურა იხტიბარს არ იტეხს. ყორეებს გადაჭრის, თავს დაუვლის, ვენახებს გადაივლის და კოლექტივის მანქანებს კანტორის წინ ხვდება. ენაგადმოვარდნილი ყველას ფეხებში ედება, ყველას ეუბნება — შემომხედეთ რამდენი ვიშრომეო.

— არ დაიღალე, მურა? — არა, არ დაღლილა, ახარებს გულუხვი შემოდგომა, წილი უდევს მოსავლის სიუხვეში. მთელი ზაფხული დასდევდა მაჩვებს, არც ერთი ტარო არ გაატანა წყეულებს. წამოსკუპდებოდა სერზე, სადაც მაჩვის შლიგინს გაიგონებდა, იქით დაეშვებოდა, ეშინოდა ბარაქა არ გაუწყდესო მოსავალს.

— ბიჭო, ნოეს ძაღლმა მაჩვები სულ ჩვენკენ გადმორეკა, დარიგებული ყავს! — ჩივიან გაღმოურები.

მურამ მოუხშირა ვენახსა და ყანებში სირბილს, გული მომდის, ვებუტები. მურას არ შეუძლია თუ არ ირბინა და ბოლოს მეც ვურიგდები, გულისხმიერად ვუსმენ სოფლის ამბებს, ჩუმი წკმუტუნით რომ მიყვება ყოველ საღამოს.

— ქორწილი იყო, შალვამ გაათხოვა თავისი ენაკვიმატი გოგო. ჟენიამაც მოიყვანა რძალი.

მოტეხეს სიმინდი, დაიბერტყა კაკლები, დაიკრიფა ხეხილი, დაიკრიფა ყურძენიც, ქაფქაფებს ტკბილი მაჭარი.

ერთმანეთს შევაბერდით მე და მურა. დაგვიბერდა ძია ნოეც, ახლა დილით უთენია აღარ გამოდის გარეთ, დაჯდება ჩემს ძირში, ადგომა ეზარება, მურაც გვერდში მიუჯდება, მურასაც ეზარება ადგომა.

აუჰ, რამდენი ხანი გავიდა, რამდენმა შემოდგომამ და ზამთარმა წაიღო თქვენი ჭირი, რამდენმა გაზაფხულმა და ზაფხულმა აიკრა გუდა-ნაბადი.

ჩემს ძირში ნოე ზის, ტყეს გასცქერის, სახე ნაღვლიანი აქვს. მურა მოვიდა, ნოეს მუხლზე თავი დაადო, სახეში შეაჩერდა.

— რა იყო, მურა, რა გაწუხებს, არ მოგწონს ჩემი გადაწვეტილება? არც მე მომწონს, მაგრამ რა ვქნა, თავს ზევით ძალა არა მაქვს, დავუძლურდი, არც ბავშვები მასვენებენ. მეტი გზა არ მაქვს, აბა, შენ იცი როგორ შეებრძოლები მარტოობას. ძნელია, ვიცი რა ძნელია, მაგრამ უნდა გაუძლო.

— გამარჯობა, ნოე, ვის ელაპარაკები?

— აგერ მურას ვეუბნები, გადმოდი ერთი თუ კაცი ხარ!

— გადმოვალ, აბა სად წავალ, სოფელი გაიკრიფა, მე და შენ შემოვრჩით აქაურობას. — ღაღამ ალაგეზე გადმოაბიჯა. — მიდიხარ, ნოე?!

— მივდივარ, ძმაო, ძნელი ყოფილა სიბერე.

— სიბერეზე შემაწუხებელი ეს ხალხის აღოღებაა.

— განათლდა ხალხი, აღარავის ყოფნის ბუხარი.

— გზა გვაქვს, სინათლე გვაქვს, რადიო, ტელევიზორი...

— ხალხი აღარ გვყავს ჩემო ღაღა, ხალხი. ეს ძაღლი მინდა დაგიტოვო, შიმშილით არ მომიკლა. ეგ აქაურობას არ მოსცილდება. შენც ნუ დაიზარებ ლუკმა მიაწოდო.

— ჯავრი არ გქონდეს, თვალის ჩინივით მოვუვლი.

ნოტიო ღამე იყო.

დილამ ძლივს გაახილა თვალი, ირგვლივ ხის ფოთლები ყრია, ისინი ყორის ძირისაკენ ეშურებიან, იქ იყუჟებიან.

მოგრიალდა მანქანა, შინაურები გამოეფინენ. ზოგს ჩემოდანი მოაქვს, ზოგს ხელკალათა, ზოგს ფუთა.

მურა ყველას ფეხებში ედება, ყველას ეფერება, შეწკმუტუნებს, ლოკავს, ზედ ახტება. ყველას რაღაცას თხოვს, სასოწარკვეთამდე მისულს ხმა უწყდება. ალბათ უნდა უთხრას: — ნუ დამტოვებთ, თან წამიყვანეთ! — არავის არ ესმის მურასი, თავიანთი საქმით არიან გართულნი. ვგრძნობ, უჭირს მურას, ძალიან უჭირს, ვღელავ, ვშფოთავ, გული მწუხარებით მეკუმშება, ვხედავ მოთმინება დაკარგა. გაუქრა იმედი. ის ახლა გორაკიდან უყურებს როგორ ტვირთავენ მანქანას. მურას მოშვებული სხეულისა და უსიცოცხლო თვალების შეხედვამ შემზარა, მთელი ხმით ვყვირი: — უშველეთ მურას, უშველეთ მურას!!

მანქანა დაიძრა, მურა ღაღას გვერდით დგას, უეცრად თავგანწირვით შეიწკმუტუნა, გორაკის ფერდზე დაეშვა, მანქანას აედევნა. გაუსწრო. წინ გადაუდგა, თითქოს უნდოდა შეეჩერებინა... მანქანამ უცნაურად გაიჭრიალა. ღაღამ დაღმართი ჩაირბინა, სისხლში მცურავ მურას დააჩერდა, მძღოლმა სვლა შეანელა:

— რა მოხდა?

— არაფერი, არაფერი! — მშვიდობით იარეთ! — მიაძახა ღაღამ. ეს რა ჩაიდინე, უბედურო, სულსწრაფი ყოფილხარ, გაზაფხულდებოდა, ნოე დაბრუნდებოდა, ტკბილად იცხოვრებდით...

მურას ცხელი კურცხლები თითქოს გულზე მეცემა, ვხედავ როგორ კვდება, შველა არ შემიძლია, უძლური ვარ, მხოლოდ ფოთლებს ვაშრიალებ:

— არ მოკვდე მურა, ნუ დამტოვებ მარტო...

...ღაღა მურას სამარეს ჩემს ძირში უთხრის. უზომოდ მადლობელი ვარ ამ კეთილი კაცისა.

მე და მურა ისევ ერთად ვართ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ა. გოგოლაძე

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ფოტოხელოვან ანზორ გოგოლაძის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებულ ფოტოსურათებს. ისინი გამოირჩევიან მომენტების ფსიქოლოგიური გააზრებით, დახვეწილი გემოვნებით, ჩვენი ბუნების დიდი სიყვარულით. განსაკუთრებით უნდა ითქვას, რომ ხელოვანს ღრმად იტაცებს და თავისი შემოქმედების მიზნად გაუხდია მრავალი საუკეთესო ფოტონიმუში შექმნას ბავშვთა თემებზე.

ანზორ გოგოლაძე პროფესიით იურისტი, ფოტოს სიყვარულმა ფოტოხელოვნად აქცია. მრავალ გამოფენებში მიუღია მონაწილეობა. მკითხველები ყოველთვის სიხარულით ხვდებიან მის ფოტო-რეპორტაჟებს, ფოტოეტიუდებს, იმახსოვრებენ მის მიერ აღბეჭდილ სახელოვან ადამიანთა სახეებს. თემატიურად შეუზღუდავი მისი მრავალფეროვანი ფოტოები მოწონებასა და აღიარებას იმსახურებენ.

ფოტოხელოვანი ოსტატობის გზით მიდის. ამის დასტურია ბოლო წლების მის მიერ გადაღებული ჩვენი ცხოვრების ამსახველი სურათები.







ო, რა გემრიელია!



პირველი ზარი



შინისაკენ, მეგობარო!



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცოტა მეც დამიტოვე!



აჩუ, აჩუ გედო!



მეგობრები



მთვარიან ღამეს



ფეხბურთელი

დირიჟორი



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა დედას!

ბავშვის აღზრდა სერიოზული, რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობაა. მაგრამ ნუ შეშინდებით, მისი ნორმალურად აღზრდა თქვენს ხელთ არის, თქვენ მონდომებაზე და გულისყურზეა დამოკიდებული. ბავშვის აღზრდა ყველა მშობელს შეუძლია!

ყველაზე მთავარი და ძირითადი ბავშვის სწორი აღზრდისათვის, ბავშვის სამყაროში ჩაწვდომა და ამ სამყაროს შესაფერისი გარემოს შექმნაა. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ბავშვი რა ასაკისაც არ უნდა იყოს, უკვე ადამიანია.

ბავშვობის ყოველი პერიოდი განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება, ამიტომ მისი ცოდნა ყველა დედისათვის აუცილებელია და, არა მარტო დედისათვის, იგი აუცილებელია მამისთვისაც და ყველა იმათთვის, ვისაც ბავშვთან ურთიერთობა უხდება. ბავშვის განვითარება ჰარმონიულად, შეუფერხებლად და უმტკივნეულოდ მაშინ მიმდინარეობს, როდესაც მის ირგვლივ მყოფი ყველა მოზრდილისაგან ერთნაირი მიდგომაა, როდესაც ბავშვი გრძნობს და ხედავს, რასაც მისგან მოითხოვს დედა, მოითხოვს მამაც და ბებიაც.

პიროვნების ჩამოყალიბებას ბავშვობის ასაკში ეყრება საფუძველი, ამიტომ ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე უნდა დავიწყოთ.

ბავშვის აღზრდაში არის მთავარზე მთავარიც, ეს — მისი ჯანმრთელობაა. ჯანმრთელობა აღზრდის საფუძველიცაა და მიზანიც. ბავშვის ჯანმრთელობა სიმდიდრეა, რომლის თავდაპირველ წყაროს თქვენი ჯანმრთელობა წარმოადგენს.

ბავშვს წინ რთული გზა აქვს გასავლელი, რომელიც მან თქვენთან ხელჩაკიდებულმა უნდა გაიაროს. თქვენ მისი გზის გამკვალავიც ხართ და თანამგზავრიც. ამ გზაზე აჩქარება არ შეიძლება. პაწია ვერ შეძლებს თქვენს ნაბიჯებს აჰყვეს. ის რაც თქვენთვის დღესავით ნათელია, მისთვის ცხრა კლიტულის მიღმაა გასაიდუმლოებული. იგი ხომ ყველაფერს ახლა ეცნობა. დააცადეთ, მიეცით საშუალება ყოველი მხრიდან დაათვალიეროს მის წინაშე მოულოდნელად აღმართული დაბრკოლება, შეეცდება და აუცილებლად გადალახავს მას, ისევე როგორც გადავლახეთ ჩვენ და მილიონობით ჩვენისთანამ.

ბავშვის აღზრდაში არ არსებობს უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი: ამიტომ უყურადღებოდ ნურაფერს დატოვებთ. გახსოვდეთ, რომ ჩვილი ბავშვის აღზრდა ეს მისი დღის რეჟიმია. ძილი და ფხიზლობა, კვება, ჰიგიენური პროცედურები, თამაში, ყველაფერი ის, რაც მის ირგვლივაა. დააკვირდით, გაერკვიეთ მის ინდივიდუალურ თავისებურებებში და აღზრდის სწორი გზის მოძებნა არ გაგიჭირდებათ. გახსოვდეთ, რომ ყველა ბავშვს აქვს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი. ნუ ეცდებით გამზადებული რეცეპტის ძებნას, ვერავინ ვერ დაგეხმარებათ თქვენი ბავშვის ინდივიდუალური თავისებურების გამოვლინებაში, ეს თქვენ ხელთაა და თქვენი ვალიცაა.

ყველა მშობელს თავისი შვილი ყველაზე უკეთესი, და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ჰგონია. ამაში არაფერია გასაკვირი და საძრახისი, მაგრამ ნიჭს, თუ მართლა გააჩნია იგი ბავშვს, ხელის შეწყობა და წარმართვა სჭირდება, მხოლოდ საჭიროა ზომიერება, ნუ გამოიჩენთ უკიდურესობას. ეს არც განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვს მოუტანს სიკეთეს და არც ჩვეულებრივს.

შვილის სიყვარული ნორმალური ადამიანის აუცილებელი ბიოლოგიური კანონიცაა და ვალიც. ამიტომ ნუ გახდით სიყვარულს შვილის აღზრდის საზომად. ზედმეტად გამოვლინებულმა სიყვარულმა შეიძლება დააჭკნოს და გაახმოს ბევრი ადამიანური თვისების ნაზი ამონაყარი. „სიყვარულსა მალვა უნდაო"... მხოლოდ ქალვაჟის სიყვარულზე როდი ითქმის.

ბავშვს გარემო ზრდის და არა მხოლოდ დედ-მამა. გარემო კი ყველაფერი ისაა, რაც ბავშვის ირგვლივაა, მიუხედავად იმისა სულიერი იქნება იგი თუ უსულო, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მასზე, გააღიზიანოს მისი გრძნობათა ორგანოები. ჩვილი ბავშვის აღზრდას სასურველი მიმართულება შეიძლება მიეცეს მხოლოდ გონივრულად შექმნილი გარემოს საშუალებით. ნუ გგონიათ, რომ ბავშვი მხოლოდ თქვენ სიტყვას დაუჯერებს. სიტყვას მაშინა აქვს ფასი, როცა იგი საქმეს თან ახლავს. ყველაზე ადვილად ბავშვში ისეთი თვისებების გამომუშავება ხდება, რომელიც მის ირგვლივ მყოფთ გააჩნიათ, დადებითი იქნება იგი თუ უარყოფითი.

ტოლებთან თამაში, სირბილი, ცელქობა ბავშვის ბუნების აუცილებელი თავისებურებაა. მისი აკრძალვა იგივეა, რაც მოზრდილი ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთა. ჩვილი ბავშვის მიმართ „ადმინისტრაციული" ზომების გამოყენების უფლება არავის არა აქვს, მას ეს არ დაუმსახურებია.

ბავშვი ისე უნდა აღზარდოთ, რომ იგი ბედნიერი იყოს, ჩვენ მას სიცოცხლე მივეცით, მაშ კეთილი ვინებოთ და აღვზარდოთ ისე, რომ მისი ცხოვრება არ დაამწუხროს კონფლიქტებით აღსავსე ყოველდღიურობამ. რომ მომავალში შეეძლოს ადამიანებთან ურთიერთობა და თავისი მოთხოვნილებების შეხამება საზოგადოების მოთხოვნებთან, შეეძლოს პატიოსნად ბრძოლაც და დათმობაც, შეეძლოს სიყვარული, თავდადება, ყველაფერი ის, რაც ადამიანურია, რასაც ცხოვრება ჰქვია.

ბავშვის აღზრდას დიდი დრო სჭირდება, მაგრამ ყოველთვის უნდა გამონახოთ იგი, რადგან აღზრდის პრობლემა მნიშვნელოვნად სცილდება ოჯახის ინტერესების ფარგლებს. იგი უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი პრობლემაა, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს, ერის, საზოგადოების კეთილდღეობა და მომავალი. ა. მაკარენკოს სიტყვებით — „ბავშვების აღზრდა ჩვენი ცხოვრების ყველაზე დიდი დარგია... სწორი აღზრდა — ეს ჩვენი ბედნიერი სიბერეა, ცუდი აღზრდა — ჩვენი მომავალი მწუხარებაა, ეს ჩვენი ცრემლებია, ჩვენი დანაშაული ხალხის წინაშე, მთელი სახელმწიფოს წინაშე".

მ. მჭედლიშვილი.
პროფესორი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბავშვო ბაღი ოჯახში

საწარმოო გაერთიანება „რიგას ექსპრესისმა“ გადაწყვიტა ქალაქში ახალი სამსახური შეექმნა — სახლებში პატარა საბავშვო ბაღები მოეწყო.

ყველაფერი ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებით დაიწყო. განცხადება იუწყებოდა: თუ თქვენი საცხოვრებელი ფართობი საშუალებას იძლევა სამუშაო დროის განმავლობაში ხუთი-ექვსი ბავშვი მიიღოთ და თქვენ შეგიძლიათ მათი კეთილი აღმზრდელი გახდეთ ამ საათებში, — დაგვირეკეთ ამა და ამ ტელეფონით. პატარა საბავშვო ბაღის აღმზრდელს, — დასძენდა განცხადება, — მუშაობის სტაჟიც შეუნარჩუნდება და 160 მანეთიც მიეცემა თვიური გასამრჯელო. დღისით ბავშვთა დასვენებისათვის საჭირო საწოლებს, სათამაშოებს, წიგნებსა და ფონოტეკას „რიგას ექსპრესისი“ კისრულობს.

განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ გაერთიანებაში ორასჯერ გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. იმათგან, ვინც დარეკა, ნახევარი ისინი იყვნენ, ვინც დათანხმდა პატარების აღმზრდელი ყოფილიყო, მეორე ნახევარი კი — მშობლები.

მოვუსმინოთ გაერთიანება „რიგას ექსპრესისის“ საამქროს უფროსს ს. რაპოპორტს:

— მალე დავრწმუნდით, რომ ახალი სამსახურის მიზანი დიდია, რომ ჩვენი გაერთიანება მშობლებისათვის მეტად საჭირო საქმეს აკეთებს. ეს საქმე მომავალი ძიძა-აღმზრდელების საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა-გამოკვლევით დავიწყეთ. ჩვენ მარტო ძიძა-აღმზრდელთა ფართო და კეთილმოწყობილი ბინები როდი გვაინტერესებდა, მთავარი იყო ისეთი კანდიდატურები შეგვერჩია, ვისაც უყვარს და შეუძლია კიდეც ბავშვებთან მუშაობა. მსურველთა შორის ათეულობით პედაგოგი და საბავშვო ბაღის აღმზრდელი იყო. ბევრ მათგანს იმდენად არ უჭირს და ამჟამად უკვე პენსიონერია, მაგრამ სურვილი გამოთქვეს თავიანთსავე ოჯახებში გამხდარიყვნენ მცირე საბავშვო ბაღის დიასახლისები და ერთდროულად შეეთავსებინათ მზრუნველი ძიძისა და კვალიფიციური აღმზრდელის მოვალეობა.

ასზე მეტი თხოვნა მივიღეთ დედებისა და მამებისაგან, რომელთაც სურთ ისარგებლონ საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი სამსახურით. მათი განცხადებები მიკრორაიონების მიხედვით დავაჯგუფეთ. საოჯახო საბავშვო ბაღი ხომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ბავშვთა საცხოვრებელი ადგილის ახლოს უნდა მდებარეობდეს — ბავშვებს, სანამ ძიძამდე მივიყვანდეთ, მთელი ქალაქი ხომ არ უნდა შემოვატაროთ. ამრიგად, მცირე საბავშვო ბაღები სხვადასხვა საცხოვრებელ მასივში დაარსდა. და აი წამოიჭრა პრაქტიკული საკითხები: როგორ ვკვებოთ ბავშვები, როგორ მოვუაროთ, როგორ უზრუნველვყოთ ისინი ყველაფრით, რაც კი სჭირდებათ მთელი დღის განმავლობაში? მოვეთათბირეთ მშობლებს და მათ ასეთი აზრი გამოთქვეს: ყველა დედამ მორიგეობით მოამზადოს და მოუტანოს ძიძას ხუთივე ბავშვის სადილი. ძირითადად მათი შრომის ანაზღაურება გადაწყდა.

ქარხნის მუშა ქალის რ. ზაკისის აზრი:

— ჩვენ, მე და ჩემს ქმარს გვყავს ორი წლის ბავშვი გუნარი. ბებია სოფელში ცხოვრობს, ამიტომ მე იძულებული ვარ შინ ვიჯდე. სამუშაოდ გასვლას აქამდეც შევძლებდი, მაგრამ ვისთვის უნდა დამეტოვებინა ბავშვი? ჩვენს საწარმოში არ არის საბავშვო ბაგა. უახლოეს წლებში არ არის იმედი ჩვენთან საბავშვო ბაღის გახსნისა. ამიტომაც, გამახარა „რიგას ექსპრესისის“ ინიციატივამ. ამით ხომ თავს დავაღწევთ სიძნელეებს. ბავშვის მოსავლელად ძიძისათვის მისაცემი გასამრჯელოს რაოდენობაც, — დაახლოებით 60 მანეთი, — ხელსაყრელია. ისიც მოსახერხებელია, რომ მცირე საბავშვო ბაღი, რომელშიც გუნარი უნდა შევიყვანოთ, შორს არ არის ჩვენი სახლიდან.

პენსიონერ ო. სტოკსის აზრი:

— პენსიაზე გასვლამდე ოცდახუთმეტი წელიწადი სკოლაში ვმუშაობდი — დაწყებით კლასებში ფიზკულტურას ვასწავლიდი. ახლაც მიყვარს პატარებთან ერთად სიარული—სამი შვილიშვილი მყავს. როცა გაზეთში განცხადება წავიკითხე, ვიფიქრე: „რატომ არ შევთავაზო ჩემი სამსახური-მეთქი. ბინა კარგი მაქვს, ოროთახიანი, მარტო ვცხოვრობ, პატარებისთვის მარტო ძიძად და მისახედად გამოვდგები კი არა, — შემიძლია მათ წერა-კითხვაც შევასწავლო — ფიზკულტურასაც მივაჩვიო. ჩემი უმცროსი ქალიშვილი გუნტაც სკოლის მასწავლებელია, თან დაუსწრებლად სწავლობს სამედიცინო ინსტიტუტში პედიატრია-დეფექტოლოგიის სპეციალობაზე. ისიც, თუ საჭირო იქნება, არავისთვის დაიშურებს დახმარებას. ხუთი-ექვსი ბავშვის მოვლას ჩვენ ნამდვილად გავართმევთ თავს. დედებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. ოღონდ, აი რა მაფიქრებს: მორიგეობით რატომ უნდა მოამზადონ მათ საჭმელი? რატომ არ შეიძლება საოჯახო საბავშვო ბაღთან ახლოს მდებარე რომელიმე სასადილოსთან მოლაპარაკება? ჩვენს ქალაქში ხომ კარგად არის მოგვარებული საზოგადოებრივი კვების საქმე, განა არ შეიძლება ეს პრობლემა მათი მუშაკების დახმარებით გადაიჭრას?

ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების ინსტრუქტორის ე. დოროფეევას აზრი:

რიგელთა წამოწყება ყოველგვარი მხარდაჭერის ღირსია. ვფიქრობ, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან აღმოუჩინონ მათ აუცილებელი დახმარება.

ამგვარად, რიგაში მშობელთა დახმარების ახალი სამსახური მოქმედებას იწყებს. მას ბევრი მომხრე ჰყავს ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რომელთა წარმომადგენლებს მე უკვე ვესაუბრე. საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ი. მიზეზიტისმა აღნიშნა: „მარტო ის კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ დედებს სამსახურში წასვლის საშუალება მივცეთ, არამედ ისიც, რომ ხელი შევუწყოთ პატარების ყოველმხრივ, ჰარმონიულ, სწორ აღზრდას. აი, ჩვენ ყველამ ამაზეც უნდა ვიფიქროთ და იმაზეც, თუ რაოდენობისა იქნება გადასახადი თვითეულ ბავშვზე. „რიგას ექსპრესისი“ სამეურნეო ორგანიზაციაა და, როგორც ჩანს, თანხა, რომელიც მშობლებმა უნდა გადაიხადონ, შეიძლება დროთა განმავლობაში შემცირდეს ამ ახალი სამსახურის მსურველთა ზრდის შესაბამისად.

ე. ვოსტრუხოვი,
„იზვესტიის“ საკუთარი კორესპონდენტი.
რიგა.

# ათი შვილი და მათი ნამრავლი დიდი ბედნიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ და დესპინე აფაქიძეების ამწვანებული ეზოს ჭიშკარი რომ შევაღე, ხანდაზმული მანდილოსანი კაბაზე ხელების წმენდით გამომეგება. დესპინე დეიდა სამზადისკენ გამიძღვა, თან გზად ქალაქის ამბებს მეკითხებოდა. ამინდი აინტერესებდა. ბოლოს თვითონვე ღიმილით დასძინა:

— თუმცა რა, ქალაქში ყანას ვერ დათოხნიან უამინდობის გამო თუ საქონლის მოვლა გაუჭირდებათ?

დიდხანს ვესაუბრე დესპინეს ქალაქის სიკეთეზე.

— ალბათ მართლა ასე ძალიან კარგია ქალაქი, რომ სოფელი არავის უნდა, ყველა ქალაქში გარბის, მაგრამ უსოფლოდ ქალაქი არ ვარგა და, რა თქმა უნდა, პირიქითაც. ამ ჩვენს ახალგაზრდებს კი ქალაქი უფრო გიზიდავთ. და მოხსნა დესპინე დეიდამ პირი საყვედურების გუდას.

მისი თვალების მზერას ვერ გავუძელი და თავი დავხარე. მთელი არსებით სოფლური ყოფა მომინდა. რა სასიამოვნო სითბოა აქ... ან ეს თონის პურის სუნი... ჩანს, დესპინე დეიდას დილაადრიან მოუსწრია ცომის მოზელა და ჩამცხრალ თონეში ლამაზად ჩამწკრივებული ლავაშებისა და ხაჭაპურების მადის-აღმძვრელი სურნელება დაუყენებია. ბავშვობა გამახსენდა.

რამდენჯერ გვიგემნია დესპინე დეიდას გამომცხვარი გემრიელი პური მეზობლის ბავშვებს! შევყურებ ამ მოფუსფუსე დიასახლისს და მეამაყება, რომ შვიდ ათეულ წელს მისთვის მხოლოდ თმის ფერი შეუცვლია, სიმხნევე, სიხალისე, ქალური სიკოხტავე კი ისევ ძველებური შერჩენია.

— გამარჯობა, ქალაქელო! — თბილი და სევდასავით დამპყრობი ხმა აქვს მიხეილ ბიძიას. ჩვეული სიდინჯით გადმოაბიჯა ზღურბლს. ეს ახოვანი, სვანეთის მთასავით ზვიადი კაცი წლებს ოდნავ მოუხრია მხრებში, თეთრი გარევია თმაში. შემპარავი საყვედური ისმის მის საუბარში.

— რატომ დაგვივიწყეთ ახალგაზრდებმა და ხშირად არ მოდიხართ? ხომ უყურებთ, — ჩვენ უკვე სიბერეში შევდივართ და ეზო ყურეს თქვენი ხელი სჭირდება.

— რა დროს თქვენი სიბერეა, თქვენი და ჩვენი მოვლილი ეზო ერთმანეთს რამ შეადარა? — ძლივს მოვუყარე თავი სათქმელს.

ცოლ-ქმარი სიმართლეს ლაპარაკობდა. მოსწყინდა სოფლის უხუცეს ხალხს სიმარტოვე. ახალგაზრდობა აღარ ჩერდება სოფლად. ამ ფიქრებიდან მიხეილ ბიძიას მობოდიშებამ გამომიყვანა. სტუმრად ჩამოსულ შვილიშვილს ბაღში გასეირნება მოუნდომებია და ბაბუას სთხოვდა წაყოლას. მეც მათ გავყევი.

აქ ყველაფერს მშრომელი კაცის მადლიანი ხელი ეტყობა. ლამაზად ჩამწკრივებული ვაშლის ხეები თავჩაქინდრული ეგებებიან თავიანთ „მკურნალს", ახლადშეფოთლილი ვაზი ნაზად ირხევა და თითქოს „ამაყობს", რომ სოფელში პირველად ის მიხეილმა გაახარა.

— რარიგად გაზრდილა, ბაბუა, შენი ჩარგული ვაზი! — ციცქნა ძირი იყო, დღეს კი უკვე რამხელაა! წლეულს ნაყოფსაც გამოისხამს, არა?

— ჰო, შვილო, აუცილებლად გამოისხამს და შვილიშვილს ნაღვლიანი თვალები მიანათა, — მაგრამ დაიხსომე, როცა აღარ გეყოლები, ამ ყურძნის ღვინით თქვი ხოლმე ჩემი შესანდობარი... თან თვალი ჩაგვიკრა, ნუ გეშინიათ, ჯერ არ ვაპირებ წასვლას, განა მართლა მასეა საქმეო.

ოთხმოცდამეორე გაზაფხულმა მიუკაკუნა ლენტეხის რაიონის სოფელ ბავარის მკვიდრს მიხეილ ბესარიონის ძე აფაქიძეს. მიხეილი პირველი ვაჟიშვილი იყო ოჯახში. ბავშვობა სიღარიბეში გაატარა, ხელმოკლეობამ არც სწავლის საშუალება მისცა. რომ დავაჟკაცდა, დაოჯახება გადაწყვიტა მეზობელ გოგონაზე, თექვსმეტი წლის დესპინეზე დაქორწინდა. ორივენი კოლმეურნეობის მოწინავე წევრები გახდნენ. ისინი შრომითი მამაცობისათვის სიგელებით, რამდენიმე მედლით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

დესპინეს და მიხეილს ათი შვილი ჰყავთ. მართალია, ხუთი ქალიშვილის და ხუთი ვაჟიშვილის დედ-მამას შვილების გაზრდაში ბევრი გაჭირვება შეხვდათ ცხოვრების გზაზე, მაგრამ „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია". დღეს მათ ბედნიერი მშობლები ჰქვიათ. თანაც, შვილთა სიმრავლე ჯერ კიდევ როდი ნიშნავს, რომ ისინი კარგები არიან. მშობლები ბედნიერები მაშინ ხდებიან, როცა მათ შვილებს საზოგადოება შეიყვარებს, როცა ყველა სასარგებლო შრომაში ჩაებმება.

უფროსი ვაჟიშვილი ვალერი და მისი მეუღლე ოთხი შვილითა და სამი შვილიშვილით წულუკიძის რაიონში ცხოვრობენ, ვალერი მეურნეობის სპეციალისტია.

ქალიშვილმა ლილიმ თავისი ბედი რაიონის მკვიდრს — სოზარ გუგავას დაუკავშირა და თუმცა ძალიან უნდოდა დედას გაჯიბრებოდა მრავალშვილიანობაში, მაინც ვერ დაეწია. დღეს ლილი ექვსი შვილის დედა და ხუთი შვილიშვილის ბებიაა. უამრავი საზრუნავი აქვს სკოლა-ინტერნატის სანიტარული დასუფთავების უფროსს. საკუთარი შვილივით უვლის სკოლის თითოეულ მოსწავლეს და მადლიერი ჰყავს ყველა დედა.

ნოდარის ოჯახში ექვსი შვილი იზრდება. წლეულს ნოდარმა და მისმა მეუღლემ ლამარამ პირველი შვილიშვილის დაბადებით გაიხარეს. ნოდარი ფერმის გამგეა. გეგმავალდებულებები, მთასა და ბარში სირბილი, თათბირები, სტუდენტი და მოსწავლე შვილებისათვის ზრუნვა მას დიდ დროს ართმევს. ხელედში ნოდარი ჭკუასაკითხავი კაცია, გაჭირვებულის ქომაგი და მოსარჩლე.

მომდევნო ქალიშვილი იადონი ცაგერის საბუღალტრო სასწავლებლის დამთავრებისთანავე გათხოვდა იმავე რაიონში. ოთხი ერთმანეთზე უკეთესი ვაჟიშვილის დედა ჰქვია მას, მაგრამ მუხთალმა შემთხვევამ ნაადრევად წაართვა მის პატარა ვაჟკაცებს მოსიყვარულე მამა. უფროსი ვაჟიშვილი გოგი მეათე კლასის მოსწავლეა, გოჩა, გუგუა და გურამი კი მომდევნო კლასებში არიან, კარგად სწავლობენ და დედას საოჯახო საქმეშიც ეხმარებიან.

18537

გოგუცა მშობლებთან ცხოვრობს. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი რომ დაამთავრა, რაიონში ქიმიკოსად დაიწყო მუშაობა. კარგი სპეციალისტია, პასუხისმგებლობით ასრულებს ყველა საზოგადოებრივ დავალებას. მოხუცი მშობლებისათვის ზრუნვა და ფიქრი მისთვის სასიამოვნო მოვალეობაა.

დოდომ და ნათელამ ქუთაისის ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრეს და თავიანთ რაიონს დაუბრუნდნენ. დოდო ბიბლიოთეკის გამგეა, ნათელა კი — ბუღალტერი. ისინი სამ-სამი შვილის დედები არიან.

ოთარი მახარაძის ტექნიკურ სასწავლებლის დასრულების შემდეგ დაოჯახდა და იქვე დასახლდა. კარგი მეუღლე შეხვდა და კარგი ოჯახიც აქვთ.

ჯუმბერმა სპეციალობა მიიღო, ქუთაისის სავაჭრო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ერთხანს სოფლის მაღაზიაში მუშაობდა. შემდეგ შინ დაბრუნდა, საავადმყოფოს მთავარ ექთანთან ავლინა ქურასბედიანთან ერთად ოჯახი შექმნა.

1982 წლის აპრილში ხალხმრავლობა იყო მიხეილის და დესპინეს ოჯახში. ნაბოლარა შვილის ინდიკოს ქორწილში მოიპატიჟეს კეთილი მეზობლები და ნაცნობები. მაყრიონმა გულით დალოცა ბედნიერი ჭერი. ინდიკოს და მზიას გამრავლება და გახარება უსურვეს. დღეს მათ ორი ქალიშვილი ეზრდებათ — ინგა და მაგდანა.



როდესაც დავინტერესდი, თუ როგორ ასწრებდა ათი შვილის მოვლას დესპინე დეიდა, მან მიპასუხა:

— მეუღლე მეხმარებოდა, ხშირად დიასახლისობდა კიდეც. შვილებიც გვერდში მედგნენ, უფროსები — უმცროსებს ზრდიდნენ. თანაც ჩემი ძირითადი ოჯახური საქმიანობა მაშინ იწყებოდა, როცა ყველა დაიძინებდა: ვრეცხავდი, ვალაგებდი, ვკემსავდი, საჭმელს ვამზადებდი, რომ დილით ბავშვები სკოლაში სუფთად და დანაყრებული გამეშვა.

წლევანდელი წელი ამ ბედნიერი ოჯახისათვის ღირსსახსოვარია. მესამოცე წელია, რაც დესპინე და მიხეილი ურთიერთშეთანხმებით და სიყვარულით ეწევიან ცოლქმრულ უღელს. ისინი მრავალრიცხოვანი შთამომავლობით — 32 შვილიშვილით და 9 შვილთაშვილით ხარობენ.

განა ამაზე დიდი ბედნიერება არის რამე?

**ციცო გაზდელიანი**

# შემოდგომის ერთ მზიან დღეს

ჩანახატი

შემოდგომის მზიანი, მყუდრო დღე იდგა. წინა ღამით ატეხილ გრიგალს უზარმაზარი კაკლის ხისათვის გაყვითლებული ფოთლები შემოეძარცვა და ახლაც ოქროსფრად მოფარფატენი რონინით ეშვებოდნენ ძირს. სახლში შესასვლელ კიბესთან ნაგაზი მიწოლილიყო და მზის სხივებზე თბებოდა.

პატარა ანასაც მზეზე გამოეტანა ყველასაგან მივიწყებული საოჯახო ალბომი, რომელსაც დიდი გულისყურით ათვალიერებდა და თავისთვის რაღაც გაურკვეველ სიტყვებს ბურტყუნებდა. მერე რამდენიმე სურათში ერთი ძველი გაყვითლებული ფოტო ამოარჩია, რომლიდანაც თითქმის მისი კბილა პატარა გოგონას დიდრონი შავი ბრიალა თვალები შემოცქეროდა.

— ბები, ბები ეს ვისი სურათია? — მიუბრუნდა ბებიას. ქალმა ჩამოართვა ფოტოსურათი და... ფიქრით წარსულს გახედა.

...მაშინაც, იმ შემოდგომაზე ასეთივე თბილი, მყუდრო და მზიანი დღე იდგა. შინ შესულს ელდა ეცა, როცა დედის ყრუ, უხმო ქვითინი შემოესმა, რომელიც სამიოდე წლის პატარა გოგონას უჯდა საწოლთან და შეშლილი თვალებით ჩაჰყურებდა ფერდაკარგულ, თითქმის უსიცოცხლო სახეს. ბავშვს პატარა, ქათქათა, გამხდარი მკლავი საბნიდან ამოეგდო და კუნაპეტი ღამესავით შავი ლამაზი თვალებით შეჰყურებდა დედის უძლურ და მოტეხილ სახეს. შუა ღამით რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა, ამდენ ხალხს რა უნდოდა მათთან, მის სახლში, ანდა ასე გამწარებით რატომ მოთქვამდნენ დედა და ბებია? ცუცუნას თეთრ ზეწარგადაფარებულ ლოგინზე ეძინა?

რამდენიმე ათეული წლის წინ ასეთი სურათი თითქმის ყოველ მეორე ოჯახში მეორდებოდა. იქნებ ამიტომაც ერთსა და ორ ბავშვს არავინ არ სჯერდებოდა. ეშინოდათ. თუნდაც ფილტვების ანთება არ შეჰყროდა პატარას, მაშინ? მაშინ ხომ დარჩებოდნენ უშვილძიროდ, ამიტომაც იყო ალბათ ისე მრავლად მრავალშვილიანი ოჯახები. მაშინდელ სვანეთში ბავშვთა სიკვდილიანობა მობადობის გვერდითი მოვლენა იყო.

ლენტეხის რაიონში რამდენიმე წლის წინ ექიმთა რიცხვი ძალზე შემცირდა. დღეს ადგილობრივი კადრებით სრულადაა დაკომპლექტებული. თითქმის ყოველ სოფელში მოქმედებს საუბნო პუნქტები და საავადმყოფოები, სადაც მოსახლეობას კვალიფიციური ექიმი თუ ექთანი ემსახურება. დღეს სვანეთში პატარებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი სწავლა-აღზრდისა და ფიზიკურად განვითარებისათვის. რაიონში გახსნილია 23 დაწყებითი, 7 საშუალო და 6 რვაწლიანი სკოლა. მოქმედებაშია 26 საბავშვო ბაღი და 1 ბაგა-ბაღი. მარტო ბოლო სამ წელიწადში შემოემატათ № 1 დაწყებითი სკოლა, 4 საბავშვო ბაღი და 1 სასკოლო ინტერნატი. მინიმუმამდეა დაყვანილი ბავშვთა სიკვდილიანობა. თუ 1983 წელს დაიბადა 207 ბავშვი, 1984 წლისათვის რაიონში აღრიცხულია 275 ბავშვის დაბადება, ასეთივე მატებაა 1985 წელსაც.

საბოლოოდ ჩაუდგათ გული საგულეში ცრემლშეუმშრალ და თალხებმოუცილებელ დედებს. აღარ მიირწევიან სოფლის ორღობეებში გულმკვდარი და ლოყებჩამოკაწრული შაოსნები...

— ჰა ბებო, ვინ არის ეს გოგონა? — კაბის კალთა ჩამოუწია პატარა ანამ ქანდაკებასავით გაშეშებულ, ფიქრებში წასულ ქალს.

— დაიკოა ჩემი, შვილო, უპასუხა ქალმა და ცრემლებით სავსე მზერა იმ ფოთლებზე გადაიტანა, ნაადრევად ვალმოხდილი ტრიალ-ტრიალით რომ ეშვებოდნენ ძირს.

**სოსო ლიპარტელიანი,**
**გაზეთ „საბჭოთა სვანეთის" განყოფილების გამგე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ბერი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

# ზოგიერთი სიახლე ჩვილ ბავშვთა კვებაში

ფიზიკურად ჯანმრთელი ბავშვის აღზრდისათვის ზრუნვა მუცლად ყოფნის პერიოდიდან იწყება. რადგან დედის ორგანიზმიდან მიღებული საკვებით ხდება ბავშვის ორგანიზმის ფორმირება და გამძლეობის უნარის ჩამოყალიბება.

ჩვილი ბავშვის სწორი კვებისათვის გასათვალისწინებელია მზარდი ორგანიზმის ასაკობრივი მოთხოვნილება და საკვები ნარევებისა და პროდუქტების შეწოვის უნარი, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები.

ახალშობილი ბავშვის კუჭის ტევადობა 30-35 მილილიტრს უდრის, ამიტომ ბუნებამ თავდაპირველად ის უზრუნველყო ხსენით, იგი ცოტაა, მაგრამ მდიდარია საკვები ცილებით, რომელიც ქალის რძესთან შედარებით შეიცავს 3-ჯერ მეტს. ხსენი იმატებს და გადადის რძეში 2-3 კვირისათვის. ჯანმრთელი ბავშვის კვება უნდა იწყებოდეს დაბადებიდან 2-6 საათის შემდეგ. ბავშვის ადრე მიყვანა ძუძუსთან აუმჯობესებს რძის გამოყოფას. ბავშვის კვება 3 საათში ერთხელ (ღამის 6 საათიანი შესვენებით), საკმარისია — ერთი თვის ასაკამდე. შემდეგ უმჯობესია 6-ჯერად კვებაზე გადაყვანა, 3,5 საათიანი შუალედებით. ძუძუ ბავშვს უნდა მიეცეს თითო კვებაზე მხოლოდ ცალი: წოვის ხანგრძლივობა საშუალოდ არ უნდა აღემატებოდეს 15-20 წუთს. ზანტად მწოველებს კვება შეიძლება გაუხანგრძლივდეს 30 წუთამდე.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის წონის ნორმალურ მატებას, მის სიმყარეს და ბავშვის კუნთების სიმკვრივეს. ბავშვი ფუმფულა კი არა, მკვრივკუნთოვანი უნდა იყოს, ამიტომ ვერიდოთ სიმსუქნეს. საკვები უნდა მიეცეს არა მწოლიარეს. ბავშვი ზედმეტად მიღებულ ულუფას აბრუნებს პირიდან, ამიტომ უნდა ვეცადოთ ვაჭამოთ ზომიერად; გავითვალისწინოთ, რომ ერთი თვის ბავშვის კუჭის ტევადობა 100 მილილიტრია, 1,5 თვისა — 130 მლ; 2 თვისა — 140-150, 4 თვისთვის 160-170, 200 მლ უნდა მიეცეს მხოლოდ 6 თვისათვის. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ბავშვი დღის მონაკვეთში ყოველთვის ერთნაირი რაოდენობით არ ჭამს, ამიტომ აუცილებელია წონის კონტროლი, რომელიც საშუალოდ არ უნდა აჭარბებდეს ყოველდღიურად 25-30 გრამს.

ქალის რძე ბავშვის კვების ეტალონია, ამიტომ საჭიროა მისი შენარჩუნება და მიცემა თუნდაც მინიმალური რაოდენობით 5-6 თვემდე მაინც. როდესაც ქალს რძე ნაკლებად უგროვდება, ის ცდილობს მიამატოს სხვადასხვა ხელოვნური ნარევი და მიაწოდოს მაწოვარათი კვებაგამოშვებით, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა, რადგან ამით დედა ხელს უწყობს რძის უკუგანვითარებას და ბავშვის მიერ ძუძუს მიტოვებას, ან უხალისო გამოწოვას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ყოველმა ახალგაზრდა დედამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ძუძუ ბავშვისთვის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა 5-6 თვემდე მაინც. ექვსი თვიდან რეჟიმის დაცვით მისცეს ბავშვს ჯერ ძუძუ და შემდეგ შემატოს სხვა საკვები, ისიც მხოლოდ კოვზით და არავითარ შემთხვევაში მაწოვარათი. (წყალიც კი).

ხილის წვენების ერთმანეთში შერევა და ყოველდღიური ულუფის მიცემა ერთ ჯერზე არ არის სასურველი. უმჯობესია მისაცემი წვენის რაოდენობა გაიყოს 2-3 ჯერზე და მიეცეს ჭამის დამთავრებისთანავე. წყლის გარდა კვების შუალედებში ბავშვმა არაფერი არ უნდა მიიღოს.

მთელი წლის მანძილზე ძუძუს მიცემა თანდათან მცირდება შემდეგ ვადებში: 5-6 თვისთვის — 4-ჯერ, 6-7 თვისთვის 3-ჯერ; 7-8 თვისთვის 2-ჯერ; 8-10 თვეზე — 1-ჯერ და შემდეგ სულ იქნას მოცილებული ძუძუს. თანმიმდევრულად ბავშვი გადაგვყავს დამატებით კვებაზე (ჩაის კოვზით).

ქათმის ან ხორცის ნახარშზე მომზადებული ბოსტნეულის კერძები ეძლევა მხოლოდ 6-7 თვიდან მასში ჩარეული გატარებული ხორცით, აღმავალი რაოდენობით (ყოველ 2-3 კვირაში დაწყებულ ერთი ჩაის კოვზიდან — 5-6 კოვზამდე — თანდათან.)

თუ ბავშვი სიგრძეში ცუდად იმატებს, მას უნდა დაემატოს ცხოველური წარმოშობის ცილები, როგორიცაა ხაჭო, კვერცხი, ხორცი და სხვა. — ასაკის მიხედვით.

შერეულ და ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვს დამატებითი საკვები ეძლევა 3-4 თვიდან — ჩვენების მიხედვით. რაც უფრო პატარაა ასაკობრივად, მით უფრო ფრთხილად. საქართველოში ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა მაწონის გამოყენებამ როგორც ცალკე, ისე სხვა ნარევებთან ან ფაფებთან შერეული სახით, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში. მაწონის გაწურვა, თუ ბავშვს არა აქვს ძალიან პატარა ყიფლიბანდი, მიზანშეწონილი არ არის, რადგან გაწურვისას იკარგება ბავშვისათვის საჭირო კალციუმის მარილები. ასევე არ არის საჭირო მაწვნის გათბობა. რადგან ის ადვილად მჟავდება.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეობაში ქიმიური სასუქების და შხამქიმიკატების ჭარბი გამოყენების გამო გაიზარდა ბოსტნეულის (სტაფილო, ჭარხალი და სხვა) შემადგენლობაში სხვადასხვა ქიმიური დაშლის ნივთიერებების რაოდენობა და მათი უმად გამოყენება ხელს უწყობს ჩვილ ბავშვებში ინტოქსიკაციის, სისხლნაკლებობის და სხვა დაავადებების განვითარებას, ამიტომ შეიცვალა ბევრი პროდუქტის დამუშავების წესი, ყოველმა დედამ უნდა იცოდეს, რომ მათი უმად გამოყენება — სახიფათოა (საჭიროა ადუღებამდე პირველი წყლის გადაღვრა).

დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ხელოვნური კვების დროს, საკვების ტექნიკურად სწორ მიწოდებას. მაწოვარათი საკვების მიცემის დრო მიახლოებული უნდა იქნას ძუძუს წოვის ხანგრძლივობასთან ანუ 15-20 წუთს. 5-7 წუთში მიღებული საკვები იწვევს გადაცდომასა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობას. ბავშვი ტირის, ჭირვეულობს, თითქოს არ ეყო მიღებული ულუფა. ეს იწვევს საკვების „დამატებას", რაც აპირობებს კუჭის გაჭიმვა-გაბერვას და ტკივილსაც კი. ბავშვს მაწოვარათი კვების დროს ვეცადოთ არ ამოუღოთ პირიდან და საათის მიდევნებით ვაწარმოოთ კვების რეგულირება ბოთლის აწევ-დაწევით მაწოვარას პირიდან ამოუღებლად, 15-20 წუთის განმავლობაში. (ან გავზარდოთ საკვების ყუათიანობა მოცულობის გაზრდის გარეშე).

ლენინგრადელ ფიზიოლოგთა (კრასნოგორსკი, კარატკინი) რჩევით, საკვების მიცემა 15-20 წუთის განმავლობაში იწვევს დანაყრების გრძნობას, რასაც ერთვის ძილიანობაც. საჭიროა ამ დროს ბავშვს შევუწყოთ ხელი მშვიდი ძილისათვის: არ ავაყენოთ, არ დაველაპარაკოთ და მივაწოდოთ სუფთა ჰაერი — ძილი ექნება მშვიდი და ღრმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „წვიმა და იასამანი“

პოეტ ვერიკო წერეთლის ლექსების პირველი წიგნის ყდაზე ამწვანებული ტოტები და დამსკდარი კვირტებია გამოსახული. წიგნსაც „კვირტების სიცილი“ ჰქვია. ნიჭიერი პოეტი ნუშების, ტყემლების, ატმების თოვლისფრად და ვარდისფრად აყვავებას კვირტების სიცილს უწოდებდა. რა მოხდენილი შედარებაა!

და ვაგლახ, გაზაფხულის, ხალისის, სიცოცხლის მომღერალი, ზემო იმერეთის აქოჩრილი მთების უბეში შობილი, მშვენიერ ბუნებას შეზრდილი და ბუნებისავე მეხოტბე, თვითონაც სწორედ კვირტების სიცილის ჟამს გამოგვეთხოვა: უდროოდ წავიდა ამ წუთისოფლიდან და თან წაიღო სიკეთითა და სათნოებით აღსავსე გული, ის გული, რომელსაც სითბო და ალერსი არასდროს და არავისთვის ელეოდა; თან წაიღო ყველასთვის დაუზოგავი წრფელი ღიმილი, უანგარობა და ალალმართლობა, დიდისა და პატარის წინაშე მოკრძალებულობა, უბრალოება და სისადავე, კულტურა და თავაზიანობა, რომელიც სწავლამ კი არ ჩაუნერგა, არამედ გულში ჰქონდა ჩაქსოვილი, სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი. როგორ უყვარდა ადამიანი! მის ზღურბლზე ვინმეს ფეხი რომ დაედგა, სიხარულის მზე ამოსდიოდა.

ალბათ სწორედ ამ თვისებების წყალობით იყო, რომ მარტო იმათ კი არ ხიბლავდა, ვინც დიდი ხანია იცნობდა, არამედ იმათაც, ვისაც თუნდაც მარტო ერთხელ ეხილა თვალით, ან ვინც თუნდაც ერთხელ დალაპარაკებოდა.

ვერიკო ჩვენი ჟურნალის მეგობარი იყო, მისი მშვენიერი ლექსები რამდენჯერმე დაიბეჭდა „საქართველოს ქალის“ ფურცლებზე. ვინ იფიქრებდა, რომ ქართველი მწერალი ქალების წლევანდელი საახალწლო შეხვედრა, რომელიც ჩვენი ჟურნალის რედაქციაში მოეწყო, მისთვის უკანასკნელი სიხარული იქნებოდა! ბავშვის გული ჰქონდა და ყველაფერი პატარა ბავშვივით უხაროდა!

სიცოცხლე ახლა სწყუროდა, ათასი ფიქრი ჰქონდა გულს ჩასახული. და აი თურმე მის გეგმებს განხორციელება არ ეწერა! წინა დღით თავისი ლექსების ახალი წიგნის კორექტურა წაიკითხა. რა გულსატკენია, რომ ეს წიგნი — „წვიმა და იასამანი“, რომელიც ახლახან გამოვიდა, ავტორმა თვალით ვერ იხილა.

როდესაც სიკვდილს მოვენატრები,
სულ არ ვინაღვლებ იმ წამს,
ბელტად ვიქცევი, მივემატები
ჩემი სამშობლოს მიწას.

ამ სტრიქონების წერისას ალბათ უხილავად თუ ედგა თავს სიკვდილის შავი აჩრდილი!

სიკვდილს არ ვინაღვლებო, ჩემი სამშობლოს მიწას მივემატებიო! დიახ, ასე უყვარდა საქართველო, ასე უყვარდა ხალხი და ქვეყანა, ხალხი, რომელმაც წრფელი ცრემლითა და სიყვარულით დაიტირა ნიჭიერი პოეტი და ძვირფასი ადამიანი.

## ვერიკო წერეთელი

### ზღვა

ზღვა ბობოქრობდა, მღელვარებდა,
ზღვას სიღრმე სძულდა,
ზღვას სივრცისმპყრობელს
თითქოს მთების დაპყრობაც სურდა.

ტალღას ტალღაზე აყოლებდა,
ახლიდა ნაპირს,
გაცოფებული ქაფებს ყრიდა,
იმტვრევდა თავ-პირს.

იბორცვებოდა,
ზვირთით ზვირთზე ეხეთქებოდა.
ვით მოჯირითე ბედაური,
ყალყზე დგებოდა.

დიდხანს იბრძოდა ზვირთის ბრუნვით
და ტალღის ხვნეშით,
აევსო პირი სივრცისმპყრობელს
ქვიშით და ხრეშით,

მაგრამ ვერ იქნა, ვერ ამაღლდა,
ვერ ასცდა ნიშნს,
შედგა, და თავის ხამყოფელში
ვიშ-ვიშით მიწვა.

### წიწამურთან

წიწამურთან ცადაწვდილი
დგას სიკვდილის სვეტი,
არ არსებობს სხვა სიკვდილი
იმ სიკვდილზე მეტი.

მესმის თოფის მქუხარება,
სუნთქვა მეკვრის, ვკვნესი...
არ არსებობს მწუხარება
მასზე უმწუხრესი.

სისხლი... სისხლის ნაკვალევი
მიწას რომ ატყვია...
მას ესროლეს —
საქართველოს გულში მოხვდა ტყვია!

### მტირალა კლდე

ტირის დღედაღამ, არ ეძინება,
რა ტანჯვის ცეცხლი წაჰკიდებია,
გულის ნაცური ვერცხლის მძივებად
ხავსის წამწამზე დაჰკიდებია.

სამშობლოს ბედზე ფიქრით ნაწამებს
ეს წინაპართა ცრემლი მგონია,
მე უგულობას კაცს ვერ დავწამებ,
როცა სალ კლდესაც გული ჰქონია.

### ხმა გალაკტიონის

ოქროს ფერებია... მწვანეს შერევია,
ბრწყინავს ცის გუმბათი მზისგან შეფერილი,
ლრუბლებს რომ მოარღვევს, ლურჯა ცხენებია,
ლურჯა ცხენებია ზეცას შეფენილი.
მთებს გადმოუქროლეს თეთრი ბალდადებით,
მწვერვალზე ულღობი ყინული დაადნეს,
ოთხმოცი მხედარი მოჭრის თავდადებით,
მეინვარს პოეზიის გვირგვინი დაადგეს.
სამშობლოს ზეიმი იხმინა აისმა,
სადღესასწაულოდ დაჰკრეს დაფიონი,
და ქვეყნის კიდიდან კიდემდის გაისმა
ხმა საქართველოსი, ხმა გალაკტიონის.

# სილამაზისა და სინატიფის დღესასწაული



მარჯვნიდან მარცხნივ: თ. ნადირაშვილი, ე. ხოლოდოვა, მ. რეილინი. ი. ჩხაიძე



ნ. ნადირაშვილი

ძალზე სასიამოვნოა, რომ საერთაშორისო ტურნირმა მხატვრულ ტანვარჯიშში „საქართველოს ქალის“ პრიზზე მოკლე ხანში საკმაო პოპულარობა მოიპოვა.

ისევე, როგორც ყველა სხვა შეჯიბრებას, საერთაშორისო ტურნირსაც მხატვრულ ტანვარჯიშში თავისი თავისებურებები აქვს. რადგან მხატვრული ტანვარჯიში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული სახეობაა, გულშემატკივარი მოუთმენლად ელის ახალი ტალანტის გამოჩენას და დაწინაურებას. მეორე ის გახლავთ, რომ ერთმანეთს მძაფრად უპირისპირდებიან მხატვრული ტანვარჯიშის კორიფეები — საბჭოთა და ბულგარელი სპორტსმენები. ის, რომ ამჯერად ბულგარელები თბილისში არ ჩამოვიდნენ, რა თქმა უნდა, დასანანი იყო, მაგრამ ამას შეჯიბრებისადმი ინტერესი მაინც არ შეუნელებია. რაც შეეხება ახალგაზრდების დაწინაურებას, ამ მხრივ თბილისის საერთაშორისო ტურნირმა მართლაც მრავალი ახალი სახელი გაგვაცნო. ქართველ ტანმოვარჯიშეთა დიდი ჯგუფი შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შეიძლებოდა ნიჭიერ და ჩინებულად მომზადებულ სპორტსმენებს ნინო ხუციშვილს, ნატო ლეშკაშელს, ევგენია შირინკინას, ფიქრია ფანქველაშვილს, ელისო ბედოშვილსა და სხვებს ზოგი პრიზიც კი მოეპოვებინათ.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა იმათზე, ვინც შეჯიბრების ძირითად ჯილდოებს დაეუფლა. თუ შარშან ესოდენ დიდი შთაბეჭდილება ტაშკენტელმა ვენერა ზარიპოვამ დასტოვა, წლეულს იგი ღირსეულად შეცვალა თანაქალაქელმა ელენა ხოლოდოვამ. მან თბილისში ჯილდოების მთელი კოლექცია შეაგროვა. თავად განსაჯეთ: მრავალჭიდში 39. 35 ქულით პირველი იყო, სახტუნაოთი, 19. 45 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყო, ბურთით კვლავ ყველაზე უკეთეს შედეგს მიაღწია (20,0), გურზებით პირველი-მეორე ადგილები (19,6) გაიყო, ლენტით ვარჯიშში კი მეორე ადგილზე (19,6) გამოვიდა. 14 წლის სპორტსმენისათვის (და არა მარტო მისთვის) ეს უდიდესი წარმატება გახლავთ.

თინათინ ნადირაშვილი, ცნობილ მწვრთნელ ნელი სალაძის შესანიშნავი მოწაფე, ასევე 14 წლისაა. მას ადრეც გავუხარებივართ. ახლა კი პირდაპირ ბრწყინვალე მიღწევები ჰქონდა. მისი ყოველი გამოსვლა, უპირველეს ყოვლისა, სილამაზით აღსავსე იყო. თინა ყოველგვარ ვარჯიშში საუკეთესოთა შორის იყო: მრავალჭიდში 38, 95 ქულით მეორე, მესამე ადგილი გაიყო, სახტუნაოთი — ასევე მეორე-მესამე ადგილი (19,45), ბურთით — მესამე (19,5), გურზებით — პირველი-მეორე (19,6), ხოლო ლენტით ვარჯიშში მესამე (19, 55) იყო. ეჭვგარეშეა გაისად თინა ნადირაშვილი კიდევ უფრო გააუმჯობესებს თავის შედეგს.

კიდევ ერთი პრიზიორი, კიეველი ელინა ხოზლოვ-ორმა ბრწყინვალე სპეციალისტმა, დედა-შვილმა ალბინა და ირინა დერიუგინებმა აღზარდეს. ნადირაშვილისა არ იყოს, მანაც ოთხივე ვარჯიშში მოწონება დაიმსახურა (მრავალჭიდში — მეორე-მესამე 38, 95 ქულით, სახტუნაოთი პირველი — 19 55 ბურთით... მეორე — 19,65, გურზებით მესამე-მეოთხე — 19,4, ლენტით — პირველი — 19, 65).

13 წლის თბილისელ ინგა ჩხაიძეს ტრადიციული „ნუგეშის პრიზი“ ხვდა წილად, ყველაზე მომხიბვლელ გოგონად კი ბელგრადელი მილენა რელინი მიიჩნიეს.

ის, რაც შარშან მხოლოდ დებიუტი იყო, ახლა თბილისელთათვის უკვე ტრადიციული მოვლენა გახდა. ისინი სილამაზისა და სინატიფის დღესასწაულს კვლავაც ინტერესით დაელოდებიან.

გივი გამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვებსაც კი არ ინდობენ

„ჩემს 18 წლის ბიჭსაც ის გადახდა თავს, რაც ხშირად შეემთხვევათ ხოლმე სალვადორელ ბავშვებს, — გვიამბობს სალვადორის ქალთა მოძრაობის აქტივისტი მარია ალისია ერნანდესი, — ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებმა შეიპყრეს. როგორც სალვადორის ბევრი ბავშვი, ისიც მიხვდა უსამართლობას, დაინახა, რომ თავის მშობლებს, მეზობლებს, ყველას, ვისაც იცნობს, არავის არაფრის უფლება, თვით ცხოვრების უფლებაც კი არა აქვს, მათ ადამიანებად არც კი თვლიან. მან ადრევე შეიძლო სიკეთისა და ბოროტების გარჩევა. ბავშვები, როგორც ცნობილია, ძალიან მწვავედ განიცდიან უსამართლობას. ჩემმა შვილმა ნებაყოფლობით დაიწყო რევოლუციური ლიტერატურის, არალეგალური გაზეთების გავრცელება. მაგრამ, როგორც ყველა ბავშვი, ისიც ნაკლებ ფრთხილი იყო.

არავინ იცოდა, რომ ის დააპატიმრეს. ის დაიკარგა. არავინ იცოდა სად იყო და რა დაემართა. ერთი თვის შემდეგ გავიგე, რომ ჩემი შვილი დაეპატიმრებინათ. მხოლოდ საქმეში ეკლესიის აქტიური ჩარევის წყალობით ეღირსა ის თავისუფლებას. შინ რომ ვბრუნდებოდი, გზაში შევიტყე, რომ უწამებიათ. მანქანაში ჯდომა არ შეეძლო, ისე ჰქონდა ხორცი დაწყლულებული წელიდან ქუსლებამდე. ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა. მითხრა, ელექტროდენით მაწამესო.

ძნელია გადმოცემა, რა დღეში ჩავარდნილა ბავშვი. სალვადორის რეჟიმი და მისი ვაშინგტონელი მფარველები „ადამიანის უფლებათა გაუმჯობესებას" გაჰკივიან. ნამდვილად კი, ყოველდღიურად ამ ქვეყანაში ათეულობით ადამიანი სისხლიანი ტერორის მსხვერპლი ხდება. მათ შორის არც ბავშვებს ინდობენ.

მძიმეა ხვედრი მარია ალისია ერნანდესისაც — მოკლული და უგზო-უკვლოდ დაკარგული ტუსაღების დედათა და ნათესავთა სალვადორის კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური წევრისა. ეს პროგრესული ორგანიზაცია სალვადორშიც და მის ფარგლებს გარეთაც „დედათა კომიტეტის" სახელით არის ცნობილი.

1978 წელს ოხრანკამ დააპატიმრა ერნანდესის სიძე და ქალიშვილი. არავინ იცოდა, სად წაიყვანეს ისინი. რვა დღის შემდეგ მხეცურად ნაწამები ქალიშვილის გვამი ქალაქის მახლობლად ერთ-ერთ გზატკეცილზე იპოვნეს. თვრამეტი დღის შემდეგ სიძის გვამსაც მიაგნეს.

ასეთი უბედურება ეწვია მარია ალისია ერნანდესის ოჯახს. როგორც ის ამბობს, ასეთი რამ ჩვეულებრივია სალვადორში, სადაც ტირანია სიცოცხლეს უსპობს უბრალო ადამიანებს. ტერორის მსხვერპლნი უმთავრესად ისინი ხდებიან, ვინც ებრძვის უკანონობას, რეპრესიებს, ვინც იბრძვის თავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენისათვის, ადამიანთა უფლებების დაცვისათვის, ხშირად ამ ადამიანთა ნათესავებიც არიან ტერორის მსხვერპლნი.

სან-სალვადორის ერთ-ერთი გარეუბნის მოსახლეობამ, — და მათს შორის მარია ერნანდესმაც, — პროტესტი გამოუცხადა ჯარისკაცთა თავაწყვეტილობას. ბედნიერი შემთხვევის წყალობით ის გადარჩა ოხრანკის ხელში ჩავარდნას. და აი, ჯავრი მის სიძესა და ქალიშვილზე იყარეს.

ამ ტრაგედიამ ვერ გატეხა მარია ალისია. გატეხა კი არა, უფრო მტკიცედ გადააწყვეტინა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა. 1978 წელს, „დედათა კომიტეტის" შექმნიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მებრძოლი სალვადორელი ქალი ჩაება ამ ორგანიზაციის მუშაობაში, ორგანიზაციისა, რომლის მთავარი ამოცანაა ხალხის საწინააღმდეგო რეჟიმის სისხლიანი დანაშაულის ალკვეთა, ადამიანის უფლებათა დაცვა და ყველა პოლიტპატიმრის გათავისუფლება, თავიანთ ქვეყანაში სამართლიანი წესრიგის დამყარება.

კომიტეტის წევრთა პირველი მნიშვნელოვანი გამოსვლები 1978 წელს დაიწყო. კომიტეტის მოწოდებით სან-სალვადორში, რეჟიმის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნით, მოეწყო მშრომელთა მასობრივი მარშები და მიტინგები. კომიტეტი უფრო და უფროააქტიურებდა თავის მუშაობას. გაიზარდა ორგანიზაციის რიგები. 1980 წელს „ვოენშჩინამ" და „სიკვდილის ესკადრონებმა" — შუასაუკუნეებრივმა ყაჩაღურმა შენაერთებმა არნახული ტერორი გააჩაღეს პროგრესულ მოღვაწეთა წინააღმდეგ, რომელიც დღესაც გრძელდება. კომიტეტის წევრები იძულებულნი გახდნენ დროებით იატაკქვეშეთში გადასულიყვნენ სამუშაოდ. მარია ალისია მოგვითხრობს, რომ აქტივისტებმა თავიანთი კრებები ტყეში, მთებში და თვით გლეხთა უბრალო ბაზრებზეც კი მოაწყეს, სადაც ხალხის თავმოყრა საეჭვო არ არის.

1981 წელს, თავიანთი უფლებისათვის მებრძოლი სალვადორელების მოძრაობის ალმავლობასთან ერთად, პროამერიკული რეჟიმის წინააღმდეგ „დედათა საბჭომაც" გააძლიერა მუშაობა. ეკლესია, ტრადიციულად, სალვადორში ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლებს უჭერს მხარს. ახლაც მისი მხარდაჭერით ორგანიზაცია არ შეეპუა რბევასა და პროვოკაციებს და შტაბ-ბინა გახსნა, რომელიც სან-ლორენსოს ქუჩაზე მდებარეობს სალვადორის დედაქალაქში.

უშიშროების სამსახური, „სახელმწიფო კონტროლის აუცილებლობის" მომიზეზებით თვეში რამდენჯერმე არბევს შტაბ-ბინას. კომიტეტის საბოლოო მოსპობას წინ ეღობება ორგანიზაციის დიდი ავტორიტეტი და აღიარება. დიქტატურას ეშინია ხალხის რისხვის ახალი, მძლავრი ტალღისა. ოხრანკა და „სიკვდილის ესკადრონები" შანტაჟს უწყობენ „დედათა კომიტეტის" წევრებს, მხეცურად უსწორდებიან მათს ნათესავებს. მარია ალისიამ ორი ძმა დაკარგა. ერთი მათგანი 19 წლისა იყო. ჯარისკაცებმა ის ქუჩაში მოკლეს, გამვლელთა თვალწინ. მეორე ძმა, 17 წლისა, ხელისუფლებმა „უგზო-უკვლოდ დაკარგულად" გამოაცხადეს. პოლიცია და უშიშროების სამსახური სულ ასე იქცევიან, როცა ადამიანი ციხის დილეგში იღუპება. ამით ისინი დანაშაულის კვალს სპობენ.

თვით მარია ალისიას სიცოცხლესაც რამდენჯერმე შეუქმნეს საფრთხე. ამას წინათ „სიკვდილის ესკადრონის" ბანდიტები მხეცურად შეიჭრნენ მის სახლში და ყველანი შებოჭეს — დედაც და ცოცხლად დარჩენილი შვილებიც. სასტიკად სცემეს, თვით ექვსი წლის ბავშვიც არ დაინდეს. დედა თავისი შვილების თვალწინ აწამეს და თან ცინიკურად ეუბნებოდნენ: „დაგეხმარებით — გაგგზავნით შენს შვილებთან". ქალი მოკვდებოდა წამებისგან, ხმაურსა და კივილზე ხალხი რომ არ მოსულიყო. ხალხმა შეამტვრია კარი და ჯალათები აიძულა დაეტოვებინათ იქაურობა.

მარია ალისიამ თქვა, ზოგიერთები მეკითხებიან, ღირს კი „ვოენშჩინის" წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გასწიო რისკი და გასწირო შენი და შენი ახლობლების სიცოცხლეო. „ღირს, — დასძენს მარია ალესია, — ამის აუცილებლობას ჩემი ბავშვებიც კი აღიარებენ. ნათესავები მხარს მიჭერენ". „დედათა კომიტეტს" მხარს უჭერს ყველა სალვადორელი. თუ არ აღვკვეთეთ დანაშაული, რეაქცია მას ხშირად გაიმეორებს. თუ დუარტეს ამერიკელი მარიონეტების რეჟიმის უკანონობას, მისი მმართველობის რეპრესიულ მეთოდებს არ შევებრძოლეთ, დემოკრატიის აღდგენის იმედი არ უნდა გვქონდეს. ჯალათები ყველაფერს ცდილობენ, რომ ადამიანის უფლებები დაგვავიწყონ, მაგრამ ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეალებზე. ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას! სალვადორელი ხალხი უთუოდ იქნება თავისუფალი!

ი. პშენიჩნიკო

საკდესის კორესპონდე

# გახსოვდეს, შენც დედა ხარ!

ირემივით მოხდენილი და ყელმოღერებული, ახალგაზრდა, ლამაზი მოდიხარ, მოაგორებ თეთრ ეტლს, შიგ კი ცისფერებში გაღუღუნებული პაწია ჭყლოპინებს. ზამთარია, თეთრი ზამთარი. გვერდით პატარა გოგონაც შველივით მოგდევს, კოხტად მორგებულ გრძელ მოდურ ტყაპუჭში გამოწყობილი და რა ლამაზები ხართ, რა მშვენიერები. გამვლელ-გამომვლელი სიამაყით თვალს გაყოლებთ, შემოგხარით.

დედა ხარ და რაოდენ დიდ სიხარულს, დიდ სიამაყეს განიჭებს დედობა. რატომ? ძნელია ამის ახსნა. შენი სხეულიდან წარმოქმნილმა ამ პატარებმა რამდენი ენერგია და უძილო ღამე წაიღეს შენგან, სანაცვლოდ კი მოგიტანეს პირველი ალუ, შემოცინვა და შემოჭიკჭიკება, გატირება — თუკი ერთი წუთით მიატოვებ. შენია და აი ეს „შენობა" გალაღებს, უსასრულო ბედნიერებას განიჭებს.

და იცი, ჩემო ახალგაზრდა, მშვენიერო ქალო, ყველა დედას მეტნაკლებად თავისებური ტანჯვა რომ აქვს გადატანილი და სიყვარული და ბედნიერება აქვს ნაგემები, თავისი პირმშოს თუ უმრწემესის სიცოცხლით მინიჭებული? იცი ახლა, ის ხანშიშესული შინ რომ დატოვე, შენ რომ უცხოდ და ვიღაც შორეულად გეჩვენება, იმდენად შორეულად, რომ ამბავიც არ დაუტოვე, სად და რატომ მიდიხარ, ფანჯარას მოადგა, მალულად თვალი გამოგაყოლათ... ნეტავი შეგეხედათ როგორი იყო ეს გამოხედვა — ნაღვლიან-სიყვარულიანი, თქვენი სიკეთისა და მომავლის მლოცველი, გულწრფელი, ღვთაებრივი. და ის ხანშიშესული არცთუ ისე მოხუცი, შენ რომ გგონია, სამოცდაათს მიტანებული, შეჭაღარავებული, სუსტი, საამო ქალი, ეკლიანგზაგამოვლილი, უამრავი ჭირის მნახველი, შენზე უკეთესი, თორემ არანაკლებ თვალმისატანებელი დედა იყო, როცა მასაც შენებრ პაწიები ჰყავდა. უყვარდა, ეალერსებოდა, სტკიოდა, აჩენდა, ითმენდა, ღამეს ტეხდა იმ სიხარულისათვის, იმ ბედნიერებისათვის, რომლითაც შენ ახლა ხარობ — შვილებისათვის, მომავლისათვის.

დახედე მის ხელებს, ნაჯაფარ ხელებს, ხელები კი არა, ხაზებია, ეს გაუხეშებული ხელისგულები მთელი ისტორიაა, ისტორიაა ქართველი ქალისა: ველში გუთანს რომ გამართავდა, ზვარში ვენახს რომ გასხლავდა, წისქვილში საფქვავს ჩაახვავებდა, თონეში შოთებს ამოაკრავდა, შვილ-ბადიშებს აკვანში დაზრდიდა, უაზრო სისხლისღვრამდე მისულთ შუაში მანდილით ჩაუხტებოდა, მტერს ხმლითა და მოყვარეს პურ-ღვინით დახვედრას აროდეს დაზარდებოდა, ცხრა ვაჟიშვილს მამულის დახაცავად გაისტუმრებდა და ვინ იტყვის დედას გული არ ეწვოდაო, მოკლული მტრის დედისთვის სამძიმრის სათქმელად გულადუღებულს... რამდენი მარილიანი ცრემლი შეუწმენდშეუშვრია დედის ხელებს!.. ხელები? რა ხელები... ვაი თუ, წარსულის „უკანასკნელი მოჰიკანია" ეს დედა თავისი საოცარი ხელებით. ჩემო ახალგაზრდა ქალო, უფლება არა გვაქვს არ მოვუაროთ, არ მოვესიყვარულოთ, პატივი არ ვცეთ! დრო აშუშებს ძველ ტკივილებს, მაგრამ ვაი, რომ ახალსაც გამოულევლად გვთავაზობს... რომელი ერთი სატკივარი გაიხსენოს რთულცხოვრებაგამოვლილმა ქალმა. რა ვიცით რა იქნება მომავალი, მაგრამ წარსული აწმყოს არა ჰგავს. სულაც არა... წარსული მძიმე იყო. იქ ომიო, იქ უპურობაო.

დედაშვილობის სიყვარული? ვაი, თურმე მდინარის ძალისა ყოფილა. კლდეს გა-

იუმორესკა

# „ბედნიერი"

ვიღაცას პაემანზე უგვიანდება...

ვიღაცას სამშობიაროში მიეჩქარება, შვილის მოლოდინშია.

ვიღაცას დედის საფლავზე ყვავილები მიაქვს. ვიღაცა ტირის... ვიღაცა იცინის... მარტო დარდი როდია საშიში, სიხარულიც დიდი განცდაა. ყველას თავისებურად ესმის სიხარულიცა და ბედნიერებაც, წყენაცა და გამარჯვებაც.

პოეტმა ლექსი დაწერა. გამოუქვეყნეს. გაუხარდა. ბედნიერად იგრძნო თავი.

ვიღაცამ ძვირფასი ავეჯი შეიძინა. ბედნიერი ვარო, ქვეყანა შეყარა და ულოცავდნენ. არის კი სახმაურო?

ადამიანები არიან და ყველას თავისი „მე" აქვს. ვის რა უხარია, ვის რა სწყინს!

მე კი, რა გითხრათ? უძინარი ვარ. რატომ? მრცხვენია, მაგრამ გამოგიტყდებით...

დილით სასამართლოში უნდა გამოვცხადდე, სამსჯავროს წინაშე წარვსდგე. იქვე, გვერდით ამომიდგებიან ჩემი ყოფილი მეუღლე — ნანა და შვილები — ორი ბიჭი, ტყუპებივით რომ ჰგვანან ერთმანეთს. ხალხის ყურადღება და თვალები ჩვენკენ იქნება მოპყრობილი, ჩუმად შეფასებას დაგვიწყებენ, რომელი ვჯობდით, მერე რეპლიკები — „აფსუსი არ არის? ოჯახი ირღვევა", „ცოდონი არ არიან, ეს მარგალიტებივით ბავშვები?" და ასე შემდეგ...

გაუძელი, თუ კაცი ხარ, ამდენ შემფასებელს!

მერე ნანა მოურიდებლად მოჰყვება ჩემს ავ-კარგს. არა ვარ ღირსი თუ?! არ გაემტყუნება ჩემი ასე გამეტება...

ნამდვილად უძინარი ვარ. დილით, თავი ძლივს ავწიე ბალიშიდან. ოთახი სიგარეტის ბოლში იყო გახვეული. ყველაფერი ავარიაში მოყოლილივით მტკივა...

... და აი, კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ეს მძიმე წუთებიც დადგა. რა მეთქმის? იმას ხომ ვერ ვიტყვი, ჩემს სამსახურში ერთი მაცდური, ეშმაკი შემომიჩნდა და თავი ველარ დავაღწიე ცთუნებას? კარგა ხანს გაჩუმებული ვდგევარ: მერე ძლივს ამოვღერღე: „ვერ შევეწყეთ"...

რას უჩივითო მეკითხებიან, ენა დამება. ვდგავარ ნაცემი ძაღლივით. როცა ნანაზე მიდგა ჯერი, წყნარად მშვიდად დაიწყო:

„ალბათ, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, დაუღვინებელი, უნდა ვაპატიოთ, ბატონო მოსამართლევ, გავა დრო და დაავიწყდება... ასე არ არის?" — ღიმილით გადმომხედა ჩემმა პირველმა სიყვარულმა. „რა ქნას, იმ ჩიტბატონას მანქანა აქვს და ბიჭს მოსწონს მანქანით სიარული!"

მერჩია მიწა გამსკდომოდა, დავიწვი, ავილეწე; თავი და ყურები მიხშუის, თითქოს ზარებს რეკავენ... სიდედრი კი ისე მამშვიდებს და მეფერება, თითქოს მისი შვილისათვის წყენა კი არა, დიდი სიხარუ-

ანგრევს და გაიტანს. უუვარდა თავისი პაწიები? მერედა როგორ! გაჭირვებულ ცხოვრებას რაღაც სხვაგვარი, თავგანწირული სიყვარული სცოდნია. უყვარდათ შვილებს თავიანთი დედა? საკითხავია? სხვა ღმერთი ქვეყნად არ ეგულებოდათ! დედა? — ღვთაებაა, ყოვლისშემძლე, სითბო და სინათლე!

გაუცივდა ერთხელ უფროს შვილს ლუმელი, არ იყო შეშა და რას დაანთებდა. აწიოკდნენ პატარები. საღამო იდგა. თოვლს დაეფარა გარემო. ციოდა. ლოგინში შეაწვინა ორი პატარა. ხელ-ფეხწაყინულებს ძილი არ მიეკარათ. ტირილით დაოსდნენ და ხმა გაკმინდეს. ირგვლივ სიჩუმე მეფობდა. გააღო უფროსმა ფანჯარა. თავი გადაყო გარეთ, რა შინ და რა გარეთ, — ყველგან ციოდა. დაუწყო დედას ლოდინი. ფანჯარასთან ლოდინი რაღაც უფრო იმედიანია. გაიყინა ბავშვი, ფანჯარას კი არ შორდებოდა. ტიროდა და ლოყაზე ეყინებოდა ცრემლები. უცებ ჩქარი ნაბიჯის ხმა მოესმა. თოვლით დაბურულ სიჩუმეში იგი მკვეთრად ისმოდა. იცნო, დედა იყო, დედა! როგორ იელვა სიხარულმა, როგორ გაუთბა ლოყა, როგორ წამოფრინდა, როგორ გააღო კარი, გულში ჩაეკრა მშობელს. ოთახი გათბა.

რა სინათლე ხარ, ენით უთქმელი ბედნიერება ხარ, დედავ, შენი მომლოდინე პატარა შვილებისათვის! ვისაც ბავშვობაში დედის ლოდინი არ გამოუცდია, ოთახში მყოფს, მშიერს და დაღლილს, ვაი თუ ვერ მიგვიხვდეს სათქმელს!..

დრო მიდის, წარსული არაა ჰგავს აწმყოს, მაგრამ დედაშვილობა დედაშვილობაა. ამ გრძნობას სიღრმეს ვინ გაუზომავს.

ასე რომ შენ იცი, ჩემო ახალგაზრდა ქალო, დედური სიყვარულის სიტკბო-სიმწარე, მაგრამ შენთვის იცი, შენი იცი! სხვისი კი იქნებ არც მოუყოლია ვინმეს და არც გაუხსენებია და ახლა გაგონებ...

დედა იყო და დედაა ახლაც. პატარები თუ გაზარდა, ვალი თუ მოიხადა, ვითომ ყველაფერი დამთავრდა? არაფერიც არ დამთავრებულა! დედის გული მიწაშიც დედის გულია, იებს და ვარსკვლავებს, მსხმოიარე ხეებს, პურის ყანას, სიკეთეს გვიგზავნის მიწის წიაღიდან. მაშ, როგორ მოგვართმევდა ამდენ საზრდოს მიწა, ჩვენი დედა, დედამიწა... მამის და დედის გულით, სისხლით, ძვლებით გაპოხიერებული წინაპართა სავანე, მარჩენალი ჩვენი...

აი, როგორ მიწაზე მიაბიჯებ ახლა ასე უზრუნველი, ჩემო ახალგაზრდა ქალო. ამ მიწის შვილია ის დედა, შინ რომ დატოვე უამრავ წვრილმან საოჯახო საქმეებში ჩაფლული, გაურკვევლობით გულდამძიმებული, რაღაცით იმედგაცრუებული. და შენც... შენ გიყვარს შვილები. გინდა, რომ ისინი ბოლომდე იყვნენ ერთმანეთის მოსიყვარულენი, ერთმანეთის ერთგულნი და განა შეგიძლია წარმოიდგინო დაზრდილებმა და დაჭაბუკებულებმა ოდესმე ერთმანეთი შეიძულონ მომავალ მეუღლეთა პრეტენზიების გამო?

განა შეგიძლია წარმოიდგინო, ამ პატარა გოგონას, ახლა რომ პაწია ძმის სიყვარულით ანთებული, თეთრ, ქათქათა ეტლს გვერდით ხტუნვა-კუნტრუშით, რომ მიყვება, — ოდესმე მოერიდება თავის გამზრდელ ოჯახში მისვლა საკუთარი დედ-მამის მოსასიყვარულებლად? ანდა, ახლა იმაზე შეგიძლია იფიქრო, რომ ოდესმე ბიჭი ასევე მოსიყვარულე მამა გახდება? ახლა შეგიძლია განსაჯო, რომ ეს შენი პაწია შეიძლება მოგარიდონ, მოფერება-მოალერსება დაგამადლონ (როგორც დაჭირდებათ ისე: ზოგჯერ სულ ხელშიც ჩაგატოვონ იქნებ მოსავლელად, ზოგჯერ შეკითხვის ღირსადაც არ ჩაგთვალონ, ისე უმისამართოდ წაიყვანონ და მოგაშორონ).

ხედავ, რა უცნაურია ცხოვრება? შვილების აღზრდაში, შვილებისათვის ზრუნვაში წვეთ-წვეთად დაიხარჯები, დაილევი, მაგრამ მაინც გაფიქრებს შვილების მომავალი, რომლის გასაკვალად ათასგვარად შეიარაღებული მივილტვით და არ ვიცით რას მოგვიტანს ჩვენივ საოცარი რუდუნებით გათელილი გზა. გამოცდილებამ შეაქმნევინა ქართველთა ჭკვიან წინაპრებს უფროს-უმცროსობის, მამა-შვილობის თუ რძალ-დედამთილობის ტრადიციები, ოჯახის წევრთა ურთიერთობის პატივსაცემი ფორმები.

არა გვგონია, ვინმემ დაგვძრახოს, თუ ჩვენი ყოფის საკეთილდღეოდ ტექნიკური ცივილიზაციის ეპოქაშიც შევინარჩუნებთ და დავიცავთ მამა-პაპათა ღირსეულ ადათებს, მოვიშველიებთ ქართულ ზრდილობას და პატივს ვცემთ ოჯახის უფროსთ: დედას, მამას, დედამთილს, მამამთილს.

ქმენ სიკეთე, წინ დაგხვდება, გახსოვდეს: შენც დედა ხარ, — შენი შვილებისათვის ყოვლისშემძლე სითბო და სინათლე...

**გულნარა სტურუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

ლი მომეტანოს ჩემი ვაჟკაცური ქცევით.

— „ოო, რა მწარე ენა გახდომია! არ მერჩია, გაველანძღე? ვეგინებინე? ლაფი დაესხა ჩემთვის?“ — გავივლე გულში, მაგრამ რას ვიზამდი? დამნაშავე დამნაშავედ რჩება. სხვა რა შუაშია, ბავშვებს ხელი მოჰკიდა და ისე ჩამიარა, ერთი ზიზღიც ვერ ამოვიკითხე მის თვალებში.

შერიგებისთვის ექვსი თვე მოგვცეს ვადად... მსაჯულმა ქალმა კი სინანულით სავსე სიტყვებით მომმართა: „გაიხსენეთ თქვენი პირველი შეხვედრა და სიყვარულით სავსე დღეები, იქნებ შემოგიბრუნდეთ ცხოვრების ჩარხი“...

მივდივარ გაოგნებული, ვერავის ვამჩნევ. ჩემს ოთახში ჩავიკეტე, ფიქრებსა და სიგარეტის ბოლში ჩავეფალი.

გავიხსენე ნანას გაცნობის დღე, როგორ დავდევდი გზაკვალარეული; ...ერთხელ, ნაყინი რომ შევთავაზე და არ გამომართვა, შენი ნაყინი რაში მჭირდებაო; ჟურნალში ახალ ლირიკულ ლექსს რომ ვნახავდი, გადავწერდი და ვუგზავნიდი.

რა სიხარული მომანიჭა, როცა პირველად ორივემ სანაპიროზე გავისეირნეთ, მოაჯირს დავეყრდენით, ღამის სიბნელეში ჩაძირულ მტკვარს გავყურებდით და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს ვკითხულობდით.

მერე პირველი კოცნა გავიხსენე. მთაწმინდიდან ფეხით რომ დავეშვით, ხელში აყვანილი მომყავდა, ჩემს კოცნაზე ზღვისფერი თვალები რომ გაუფართოვდა, აევსო, ატბორდა და ცრემლის მძივები ჩამოსცვივდა...

გამახსენდა, მატარებლით მოსკოვში რომ მივემგზავრებოდით და სადგური სავსე დავტოვეთ ჩვენიანებით.

გამახსენდა პირველი შვილის დაბადება. სიხარული ისე მომეძალა, ღამეები თეთრად ვათენე... გზად მიმავალ უცნობებსაც კი ვეუბნებოდი, ბიჭის მამა ვარ-მეთქი, ისინიც მილოცავდნენ, იღიმებოდნენ... ღამე ბიჭი რომ წამოიტირებდა, ვდგებოდი, ვუცვლიდი საფენებს და ვაძინებდი, ნანა დაღლილია და ცოდოა, დაისვენოს-მეთქი.

მერე... მერე... რა მოხდა? რა იქნა ამდენი სითბო, სიყვარული, ის ცისფერი საღამოები და ვარდისფერი განთიადები? სად გაქრა ის წუთები, ამდენი იდუმალი სიამოვნება რომ დამიტოვა?

იმისი ღირსი იყო, რომ ასე გამემწარებინა?

არა, ეს არ მოხდება. ახლა ეშმაკიც ველარ შემაცდენს. ჩემი ოჯახი უნდა დავიბრუნო, ჩემი შვილები, ჩემი სისხლი და ხორცი... მაშ რატომ უნდა დაჩაგრონ სხვებმა? ვილაცამ წამოსძახოს: შენს გაქცეულ მამას მიხედეო. ბავშვი რა შუაშია. სიამაყე ადრევე წავართვა? არა, არა!..

მინდა ვიყვირო და ქვეყანას გავაგონო ჩემი აღსარება; წამოვხტი, კარს ვეცი, გაღება ვერ გავბედე, მინდა ყველას მოვუბოდიშო: მაპატიეთ, შევცდი-მეთქი, ძალა კი არ მყოფნის.

უცებ, ერთი პატარა ლექსი დავწერე — „დამიბრუნდი!“ გაუბედავად მივუახლოვდი შუა კარს და ოთახში შევაგდე, დილით ნახავს-მეთქი.

მაგრამ დილამდე რა მოიცდის? სამზარეულოდან ნანას ხმა გავიგონე სადილს ამზადებს, სუნმა ჩემთანაც შემოაღწია და მადა აღმიძრა. ძალღონე მოვიკრიბე, სამზარეულოს კარი შევაღე, ნანას ზურგიდან მივუახლოვდი, ხელები მოვხვიე და ისეთი სიყვარულით ვაკოცე, როგორც მაშინ, მთაწმინდის კალთებზე...

ნანამ ერთი მსუბუქი სილა გამაწნა, მისმა ხელის შეხებამ უცებ გამათბო. თავისთვის ჩაიღიმა და საქმეს მიუბრუნდა.

ზვიადმა, რომელიც კარიდან ჩუმად გვითვალთვალებდა, თვალი ჩამიპაჭუნა და სიცილით გავიდა.

მომილოცეთ!

**დოდო ზურაბიშვილი**

მოსწავლეთა შემოქმედება

# ჩემი ეზო, ჩემი სახლი

ჩანახატი

ვიდრე ეზოს აღწერას დავიწყებდე, ჯერ ჩვენს სახლს გაგაცნობთ. უზარმაზარი თეთრი, თექვსმეტსართულიანი, ექვსსადარბაზოიანი სახლია. მისი ასაკი ათი წელია. მაგრამ ერთი შეხედვით გეგონებათ 50 წლის წინათ აუშენებიათ. პირველად კინემატოგრაფიის კავშირის შენობად დამკვიდრდა, მაგრამ მედიცინის სახლად რომ მოენათლათ, უფრო სწორი იქნებოდა. პროფესიების მიხედვით სახლი მეტად მრავალფეროვანია. ვის არ ნახავთ ჩვენთან. რამე გაგიჭირდებათ და გვერდზე გყავთ კბილის ექიმ-სტომატოლოგი, წესრიგის დამცველი, ფიზიკოსი, მათემატიკოსი, მხატვარი, ფილოლოგი. ჩვენს ვითომ კინოს სახლში უფრო რეჟისორების, სცენარისტების და მსახიობების დეფიციტია.

სახლის პროექტი კარგია. ყოველ სამ სართულს ზევით უზარმაზარი გადასასვლელი აქვს. ჩემს თავზეც არის ასეთი გადასასვლელი, სადაც ყოველდღე თუ არა, კვირაში სამჯერ ჩხუბია და ჭერი ხელით გვიჭირავს. ჩვენს ლიფტს სამი კაცის მეტი არ აჰყავს. ათი წელია ამ სახლში ვცხოვრობ, აქედან ორი წელია ამ ლიფტით ვსარგებლობ, მაგრამ, კაცს ბედი რომ არ ექნება, სკოლაში წასვლის დროს არასოდეს ვიჭედები.

ჩვენი სახლი, როგორც მახსოვს, თეთრი იყო, ახლა ისეა მანქანების სალებავებით შელამაზებული, რომ მისი ახალგაზრდობის ფერს კაცი ვერ გაარჩევს. როცა ჩვენთან სტუმრად მოდიან, იმ წუთში გვაგნებენ, რადგანაც კედელზე პლაკატივით წითელი, ლამაზი, დიდი ასოებით აწერია ახალგაზრდების სახელები, გვარები, ტელეფონები, მისამართები თავისი ისრებით. ვინც ჩვენს ქუჩაზე ხშირად დადის, იმას უკვე გამოცდილი აქვს ის სიმწარე, რაც ჯერ გამოუცდელს ხვდება. კაცი სახლს ვერ გაუვლის თავში კვერცხი, ბოთლი ან სკამი რომ არ მოხვდეს. კიდევ ბევრი რამის მოთხრობა შეიძლება ჩემს სახლზე და სათითაოდ მეზობლებზე, სულ 184 ოჯახია და 350 მანქანა. მათი აღწერა შორს წაგვიყვანს და ამიტომ ახლა ჩემს ეზოს გაგაცნობთ.

ძალიან მიყვარს ჩემი ეზო. იგი მეორე ჩემი სახლი და ოჯახია. მან ბევრი მეგობარი და ამხანაგი შემძინა. ხუთი წლიდან ამ ეზოს ვუყურებ და ყოველდღე ატალახებული მაქვს. რამდენი ჭირი და სიხარული გამიზიარებია მისთვის. რამდენი თავგადასავალი და საოცრება გადამხდენია. ამიტომ ყველა სასიამოვნო მოგონებებს ჩემი ეზოდან ვიწყებ.

ამდენი რომ გიქეთ, წარმოდგენილი მაქვს რა კომფორტით სავსე ედემ-ბაღს წარმოიდგენდით. არა, ჩემი ეზო არც სამოთხეა და არც სემირამიდას ბაღი. ერთი გაქუცული თუთის ხე გვიდგას, სადაც ზაფხულში მთელი იოსელიანის ქუჩის 37-ის ბავშვები ოცნებით შეიკრიბებიან, დანარჩენი ტერიტორია კი გარაჟებსა და მანქანებს უკავია. ზევიდან რომ გადახედოთ, მანქანების კოლექცია გეგონებათ. რა ფირმის, ფორმისა და ფერის მანქანას არ დაინახავთ აქ. მანქანებია ჩვენი დასაჯდომიც, ხეც და ბალახიც. წარმოიდგინეთ ჩვენი ოსტატობა ამ გადაულახავი ბარიკადების გადალახვის დროს. შემთხვევით შეეხები მანქანას, ირთვება სიგნალიზაცია, გამოგივარდება პატრონი და იწყება ტრაგიკული სპექტაკლი.

— ბანდიტო, გაოხრებულო, მანქანას იპარავდი, არა?! ვერ მოგართვი, ციხეში ამოგალპობ. — გამორბის პატრონი. უდანაშაულო „ქურდი" კი დედას იფიცებს — არ ვიპარავდიო. ხუთი საათის შემდეგ კი „ქურდი" და პატრონი გზაზე მრავალჟამიერს მღერიან.

რაც მართალია, მართალია, მცირედი უარყოფითი მხარეებიც აქვს ჩვენს ბინას, მაგრამ მაინც ყველაფერს და ყველას მირჩევნია ჩემი სახლი, ჩემი ეზოც და ერთადერთი თუთის ხეც.

ქეთინო მუჯირი,
ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე.

ყდის პირველ გვერდზე: დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი, მეოთხეზე — „ეს დედამიწა ჩვენც გვეკუთვნის" — ვესელინ-ჩეკანოვის ფერადი სლაიდი (ბულგარეთი).

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბაფრინდაშვილი, ნ. ბურჭულაძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ყლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივანი — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 6. 05. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 06. 86 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 145.000. შეკვ. 1137 უე 13615



მერაბ მეტრეველი — „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება"

628/100

